

1958
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



ბეჭედებისა და ინსპექციის

ბეჭედები

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

9-10

აგვისტო—ივნის 1958

0809060-1958

მ ი ნ ა რ ს ი

1. დებულება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზი მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შესახებ 3
2. ბრძანება № 570—პედაგოგიურ ინსტიტუტებში მასწავლებელთა დაუსწრებლად მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ 13
3. შრომის შინაგანაწესი სკოლა-ინტერნატების მუშაკთათვის 20
4. მითითებანი მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ. 43
5. მითითებანი დაუსწრებელ საშუალო სკოლებში მოსწავლთა მიღების შესახებ 47
6. ბრძანება № 971—თიანეთის ოაიონის ს-მონიაწხევეის საშუალო სკოლის მოსწავლე თ. ნ. თაბუკაშვილის შესახებ. 50
7. ბრძანება № 977—საბავშვო სახლებში 1958 წლის II კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 52
8. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური კურსების მასწავლებელთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ სტენოგრაფიასა და მანქანზე წერაში 58
9. ბრძანება № 1257—საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 1957—1958 სასწავლო წლის შედეგების შესახებ 61

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე
29/VII—58 წ.

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ
სოფლის მეურნეობის
მინისტრი საქართველო
გ. ა ლ ა ვ ი ძ ე
29/VII—58 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კოლეგიუმის განხილვა და საბჭოთა მიურნეობაზე მოსწავლეთა
საზოგადო გრიგადვების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა იქმნება კოლმეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობაში) საზოგადოებრივ-საწარმოო შრომაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმის, პოლიტექნიკური განათლების გაღრმავების, სწავლების საწარმოო შრომასთან მჭიდროდ დაკავშირების განხორციელების, მოსწავლეებში სასოფლო-სამეურნეო შრომისადმი სიყვარულისა და და პატივისცემის გრძნობის აღზრდის და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი პრაქტიკული საქმიანობისათვის უკეთ მომზადების მიზნით.

2. მოსწავლეთა ბრიგადა იქმნება ნებაყოფლობის პრინციპზე, სკოლასა და კოლმეურნეობას (საბჭოთა მეურნეობას) შორის ზეთანხმებით. ბრიგადის მუშაობა წარიმართება მოსწავლეთა ფართო ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

3. ხელმძღვანელობასა და კონტროლს ბრიგადის მუშაობაზე ახორციელებენ მასწავლებლები და კოლმეურნეობების (საბჭოთა მეურნეობის) სპეციალისტები.

სკოლის დირექტორსა და კოლმეურნეობის (საბჭოთა მეურნეობის) ხელმძღვანელს ეკისრებათ საერთო პასუხისმგებლობა ბრიგადის მუშაობის მდგომარეობაზე.

4. ბრიგადის წევრი-მოსწავლეები კოლმეურნეობის წევრებად მიიღებიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად, ხოლო საბჭოთა მეურნეობაში მუშებად ჩაირიცხებიან მეურნეობის აღმინისტრაციის ბრძანებით.

5. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადაზე კოლმეურნეობის განვეობა (საბჭოთა მეურნეობის დირექცია) აპიროვნებს ადგილმდე-

ბარეობის მიხედვით მოსახერხებელ მიწის ნაკვეთს, პირუტყვს მე
საქონლეობის ფერმებში, საჭირო ინვენტარს, სასოფლო-სამეურ
ნეო მანქანა-იარაღებს, ტრაქტორებს.

კოლმეურნეობის გამგეობა (საბჭოთა მეურნეობის დაწესებულებები) უზრუნველყოფს კარავის აგებას და მოწყობას მოსწავლეთა ბრი-
გადისათვის.

6. სკოლის დირექცია, კოლმეურნეობის გამგეობასთან (საბ-
ჭოთა მეურნეობის დირექციასთან), სოფლის მეურნეობის სპეცია-
ლისტებთან ერთად ადგენს მოსწავლეთა ბრიგადის სასწავლო-სა-
წარმოო დაგალებას კოლმეურნეობის (საბჭოთა მეურნეობის) სა-
ერთო გეგმის შესაბამისად. საწარმოო დაგალება იხილება და
ზუსტდება ბრიგადის წევრების მიერ.

7. მოსწავლეთა ბრიგადის წევრების სამუშაო დღის ხანგრძ-
ლიობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოზე წესდება ბავშვთა შრომის
შესახებ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად არა უმეტეს 6
საათისა დღეში.

8. გამომუშავების ნორმები მოსწავლეთა ბრიგადის წევრთა-
თვის წესდება ასკის გათვალისწინებით. მოზრდილთა ნორმებთან
შედარებით 25 პროცენტით ნაკლები ოდენობით თანაბარი ანა-
ზლაურებრი პირობებში.

მოსწავლეთა ბრიგადის წევრთა შრომის ანაზღაურება კოლ-
მეურნეობაში (საბჭოთა მეურნეობაში) სწარმოებს ამ საწარმოებში
დადგენილი წესისა და ვადების მიხედვით.

მოსწავლეთა ბრიგადის ბრიგადირი საბჭოთა მეურნეობაში
ლებულობს დამატებით გასამრჯელოს მისი საშუალო თვიური გამო-
მუშავების 30% ოდენობით.

მოსწავლეთა ბრიგადის შერგოლური საბჭოთა მეურნეობაში
ლებულობს დამატებით გასამრჯელოს მისი საშუალო გამომუშავე-
ბის 20% ოდენობით.

მოსწავლეთა ბრიგადის ბრიგადირს და მერგოლურებს შრომა
აუნაზღაურდებათ კოლმეურნეობაში ზიღებული წესის მიხედვით.

9. მოსწავლეთა ბრიგადის შრომის შედეგად მიღებული სა-
სოფლო-სამეურნეო პროცესია წარმოადგენს კოლმეურნეობის
(საბჭოთა მეურნეობის) საკუთრებას და მთლიანად რჩება მის გან-
კარგულებაში.

II. მოსწავლეთა ბრიგადის ამოცანები

10. მოსწავლეთა ბრიგადის ჩაბოყალიბება კოლმეურნეობაში
(საბჭოთა მეურნეობაში) მიზნად ისახავს შემდეგ ძირითად ამო-
ცანებს:

ა) მოსწავლეები პრაქტიკულად გაეცნონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულ საფუძვლებს;

ბ) გამომუშავდეს შრომითი ჩვევები და სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; მიიღონ საწარმოო გამოცდილება;

გ) მოსწავლეებში გამომუშავდეს შრომისადმი კომუნისტური და მოკიდებულების გრძნობა, განვითარდეს მათში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ინტერესი და სიყვარული;

დ) გაუმჯობესდეს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდა;

ე) შეიქმნას კულტურული შრომის პირობები გონივრულ დასკენებასთან შეხამებით;

ვ) აღმოუჩინონ კოლმეურნეობას (საბჭოთა მეურნეობას) საწარმოო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაბაზარება.

III. მოსწავლეთა ბრიგადის მუშაობის ძირითადი შინაარსი

11. მოსწავლეთა ბრიგადი უშუალო შრომით მონაწილეობას დებულობს კოლმეურნეობის (საბჭოთა მეურნეობის) საწარმოო გეგმის შესრულებაში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე.

მოსწავლეთა ბრიგადა თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სასწავლო-საწარმოო დებულებით, რომელიც მოიცავს კოლმეურნეობის საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ სკოლის სასწავლო დავალებებს და უზრუნველყოფს შრომისა და სწავლების კაშირს.

12. ბრიგადაზე გაძიროვნებულ მიწის ნაკვეთზე მოსწავლეებს, მასწავლებლებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოჰყავთ მინდვრის, ჩაის, ყურძნის, ბოსტნეულისა და ხილ კენკროვანი კულტურების მოსაგალი, ღებულობენ ამ კულტურების მაღალ მოსავალს და აგროტექნიკის მოწინავე ხერხების გამოყენებით აყენებენ ცდებს მაღალი მოსავლის, ახალი პერსპექტიული ჯიშებისა და კულტურების გამოყვანის მიზნით; გამოყავთ სიმინდისა და ბოსტნეული კულტურების მაღალხარისხოვანი თესლი, ხეხილის, ვენახის, ხილ-კენკროვან მცენარეთა სანერვე მასალა და სხვ.

13. მოსწავლეთა ბრიგადის წევრები მათზე გაპიროვნებულ ფერმებში უვლიან ცხოველებს, ამ საქმეში იყენებენ მეცხოველეთა გამოცდილებას, აღწევენ მათზე მიმაგრებულ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მაღალ პროდუქტულობას.

ბრიგადის წევრები უშუალოდ მონაწილეობენ მექანიზებულ

შრომაში მათზე გაპიროვნებულ მიწის ნაკვეთებსა და კოლმეულ-ნეობებში (საბჭოთა მეურნეობებში).

ერთოვენად

14. მცენარეთა გაშენების და მოვლის პროცესში მოსწავლები შეისწავლიან მანქანების გამოყენებას და შემდეგ კი მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და ტრაქტორებზე.

15. მოსწავლეთა ბრიგადაში ტარდება ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა.

სასოფლო-სამეურნეო მუშაობისათვის მოსწავლეთა მომზადება ხორციელდება სწავლის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლების შესწავლის, ფაკულტატურ კურსებსა და წრეებში მეცადინეობის პროცესში.

IV. ბრიგადაში ჩარიცხვის წესი და მიხი წევრების მოვალეობანი

15. ბრიგადის წევრებად ჩარიცხებიან VII-X კლასების მოსწავლეები სურვილის მიხედვით.

ბრიგადის წევრად ჩარიცხვის ორგომენდაციას იძლევა აღქვემდიტეტი, მოსწავლეთა კომიტეტი და სკოლის პედაგოგიური საბჭო.

კოლმეურნეობის წევრად მიღება (საბჭოთა მეურნეობის მუშად ჩარიცხვა) წარმოებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე სკოლის პედაგოგიური საბჭოს ორგომენდაციით, კოლმეურნეობის გამგეობის (საბჭოთა მეურნეობის დირექციის, მუშათა კომიტეტის) წარმომადგენლების მონაწილეობით.

17. მე-3-4 კლასების მოსწავლეები პრაქტიკულ მუშაობას ატარებენ სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, ეპიზოდურად მონაწილეობენ შესაფერის საწარმოო შრომაში ზაფხულის პერიოდში პიონერულ ბანაკებში ყოფნის დროს.

მე-5-7 კლასების მოსწავლეები მუშაობენ სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, აგრეთვე მონაწილეობას ღებულობენ შესაფერის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, შვიდწლიან სკოლებში ცალკე გამოყოფილ რგოლებად. საშუალო სკოლის მოსწავლეთა ბრიგადის შემადგენლობაში, მათი ასაკისათვის შესაფერისი შრომისა და დასცენების რეჟიმის დაცვით.

თუ შვიდწლიანი სკოლის მე-5-7 კლასების მოსწავლეთა რაოდენობა დიდია, მაშინ იქმნება მოსწავლეთა ბრიგადები. საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეებს, რომლებიც დასახლებულ ადგილებში ცხოვრობენ და დიდი მანძილით არიან დაშორებული სკოლიდან, არდადეგების პერიოდში შეუძლიათ იმუშაონ

შვიდწლიან სკოლასთან შექმნილ მოსწავლეთა ბრიგადებში, 
ხოცურებული
ხოცურებული

18. მოსწავლეთა ბრიგადის წევრები ვალდებული არჩევული ფრთხილდნენ და დაიცვან კომეურნეობის (საბჭოთა მეურნეობის) საკუთრება, შეასრულონ მათზე დაკისრებული სამუშაოები, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში, დაიცვან შრომის დისციპლინა და შინაგანაწესი.

19. მოსწავლეთა ბრიგადის წევრები, რომლებიც შრომიში გამოიჩენენ მაღალ დისციპლინას და ორგანიზებულობას, კეთილსინდისიერად შეასრულებენ საწარმოო დავალებებს, წახალისდებიან სკოლის, კოლმეურნეობის, (საბჭოთა მეურნეობის) ხელმძღვანელების მიერ შემდეგი სახით:

- ა) სიტყვიური მაღლობის გამოცხადება ხაზზე;
- ბ) გადლობის გამოცხადება სკოლის, კოლმეურნეობის და გენილებით, (საბჭოთა მეურნეობის ბრძანებით);
გ) დაჯილდოება სიგელით;
- დ) სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატებად წარდგენა;

ე) ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება;
ვ) სარეკომენდაციო საწარმოო დახასიათებების გაცემა სკოლის კურსდამთავრებულებზე, რომლებმაც სამუშაოზე განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას წარსადგენად.

20. სამუშაოს უხარისხოდ შესრულებისა ან საზოგადოებრივი ქონების დაზიანებისა და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში დამნაშავეს ბრიგადის წევრების საერთო კრების მიერ დაედგება შემდეგი სასჯელი:

- ა) უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ახლად გაკეთება და-მატებითი ანაზღაურების გარეშე;
- ბ) გაფრთხილება;
- გ) საყვედური;
- დ) ბრიგადის წევრის მოქმედების შესახებ მშობლებისათვის და სკოლის ხელმძღვანელობისათვის შეტყობინება;
- ე) ბრიგადის შემადგენლობიდან გარიცხვა.
- ვ) გარიცხვა ხდება ბრიგადის წევრთა საერთო კრების მიერ, რასაც შემდეგ ამტკიცებს ბრიგადის საბჭო.



21. შრომის ორგანიზაცია მოსწავლეთა ბრიგადაში უწყობს საწარმოო-რეკოლურ პრინციპზე, ბრიგადის წევრები ნაწილდებიან რეკოლურად მეურნეობის თავისებურებისა და ბრიგადის საწარმოო პრაქტიკის მიხედვით.

მოსწავლეთა კოლექტივების შენარჩუნების მიზნით მიზანშე-
წონილია ოგოლები შედგენილ იქნას ერთი და იმავე კლასების
მოსწავლეთაგან. სამეცნიერო აუკილებლობის შემთხვევაში იქმნება
დროებითი ოგოლები.

22. მოსწავლეთა ბრიგადებში დღის რეგიმი ზაფხულის პრ-
დათვების პერიოდში უნდა უზრუნველყოფდეს:

- ა) ბრიგადის საწარმოო გეგმის შესრულებას;
 ბ) ბრიგადის შევრების შრომისა და დასკვნების სწორად შენაჯლებას.

გ) ძილის ხანგრძლიობას სასკოლო პიგიენის ნორმების შესაბამისად;

ღ) პოლიტ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი და
სპორტული მუშაობის ჩატარებას;

ე) ბრიგადის წევრთა თავის დროზე და ცხელი საჭმელით
კვებას.

23. სამუშაო დღე ბრიგადაში იწყება საერთო ხაზზე მოწყობით, სადაც ჯამდება ჭინადლის მუშაობის შედევები. რგოლებს ექლევა დავალება ამ დღისათვის და ტარდება საერთო ინსტრუქტული მიღებული დავალებების შესრულების შესახებ.

შრომის ნაკოფიერების ამაღლების და ბრივადის წევრთა შრომითი აღზრდის განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს შრომის კულტურა (იარაღების მოყლა, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენება). აგროტექნიკის მოთხოვნილებათა ზუსტად დაცვა, სამუშაოს მთლიანად და მისი ცალკე ელემენტების სისუსტით დაგეგმვა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა).

25. ბრიგადუში მოსწავლეთა შრომის ორგანიზაცია და შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვა ეკისრება მოსწავლეთა ბრიგადის ბრიგადის.

26. მოსწავლეთა ბრიგადის ზრობის საბოლოო შედეგების შეჯამება ხდება სამცურნეო წლის დამთავრების შემდეგ სასკოლო კონფერენციის, გამოფენის, მშობელთა და საზოგადოებრივი მონაწილეობით საზეიმო შექრების, „მოსაფლის დღესასწაულის“ ჩატარების და სხვათა საზით

27. სამუშაოდან თავისუფალ დროს ბრიგადაში ეწყობა პოლიტ-ალმწრდელობითი, სპორტული და კულტ-მსობრივი მუშაობა.

VI. ბრიგადის მუშაობის ხელმძღვანელობა

28. ბრიგადის მუშაობაზე საერთო პედაგოგიური და სამეცურნეო ხელმძღვანელობა ხორციელდება ბრიგადის საბჭოს მიერ შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი (ან მისი მოადგილი), კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, ბრიგადაზე მიმაგრებული აგრონომი, ალმწრდელი-ედაგოგი, მოსწავლეთა ბრიგადის ბრიგადირი-მოსწავლე.

ბრიგადის საბჭო: ა) იხილავს ბრიგადის საწარმოო დავალებას და კოლმეურნეობის გამგეობაში (საბჭოთა მეურნეობის დირექტორი) შეაქვს თავისი წინადადებები დავალების გასაუმჯობესებლად, თუ ამის საჭიროება იქნება;

ბ) კოლმეურნეობის გამგეობას (საბჭოთა მეურნეობის დირექტორის) წარუდგენს განაცხადს და ხარჯთაღრიცხვას ბრიგადაში კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული მუშაობის გაშლი-სათვის იარიღების შესაძენად;

გ) იხილავს და ამტკიცებს ბრიგადაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გეგმას;

დ) იხილავს პედაგოგიურ და ბრიგადის სამეცურნეო მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ე) ისენს ბრიგადაზე მიმაგრებული აგრონომის, ალმწრდელი მასწავლებლების და ბრიგადირის ინგარიშებს.

29. ბრიგადის საწარმოო მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის გამგეობის (საბჭოთა მეურნეობის დირექტორის) მიერ ბრიგადაზე მიმაგრებული აგრონომი.

აგრონომი: ა) მონაწილეობს ბრიგადის საწარმოო დავალების დამუშავებაში. გამოიქვს ის ბრიგადის საბჭოზე განსახილველად და უდგენს კოლმეურნეობის გამგეობას (საბჭოთა მეურნეობის დირექტორის);

ბ) წლის განმავლობაში აწყობს და ხელმძღვანელობს ბრიგადის წევრთა აგროტექნიკურ მონაბადების საწარმოო დავალებისა და სკოლის სასწავლო პროგრამის შესაბამისად;

გ) აძლევს დავალებას რგოლებს მორიგი სამუშაოს შესასრულებლად და ინსტრუქტაჟს ამ სამუშაოს შესრულების ტექნიკის შესახებ, თვალყურს აღევნებს დავალების სწორად შესრულებას;

დ) სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელთან ერთად ბრიგადაში აწყობს საცდელ მუშაობას.

30. ბრიგადაში სასწავლო- სააღმზრდელო მუშაობაზე უშუალო ხელმძღვანელობას და ბრიგადის წევრთა კულტურული დასვენების ორგანიზაციის ახორციელებს სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ გამოყოფილი აღმზრდელი-მასწავლებელი;

აღმზრდელი მასწავლებელი: ა) ხელმძღვანელობს მოსწავლეთა მიერ სასწავლო დავალებების შესრულებას;

ბ) კომიკაშირის კომიტეტთან ერთად გეგმას და ატარებს პოლიტაღმზრდელობით მუშაობას ბრიგადაში;

გ) აწყობს კულტურულ-მასობრივ, ფიზულტურულ და სპორტულ მუშაობას ბრიგადის წევრთა თვითმმართველების საფუძველზე;

დ) მონაწილეობს რგოლისა და ბრიგადის საბჭოების სხდომებზე;

ე) აგრონომთან ერთად აჯამებს ბრიგადის მუშაობას;

ვ) ამყარებს კავშირს და ატარებს მუშაობას მოსწავლეთა მშობლებთან.

პედაგოგ-აღმზრდელის დასახმარებლად პედაგოგიური საბჭო, საჭიროების მიხედვით, გამოპყოფს მასწავლებლებს წრეების ხელმძღვანელობისა, სპორტული მუშაობის ორგანიზაციისა და სხვა მუშაობისათვის.

31. ბრიგადაში ყალიბდება მოსწავლეთა თვითმმართველობა.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ფორმას წარმოადგენს: ბრიგადის საერთო კრება, ბრიგადის საბჭო.

32. ბრიგადაში მოსწავლეთა თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ბრიგადის წევრების საერთო კრება.

ბრიგადის წევრთა საერთო კრება: ა) იხილავს ბრიგადის საწარმოო მუშაობის გეგმას და სახაეს მისი შესრულებისა და გადაწარჩებით შესრულების უზრუნველყოფის გზებს;

ბ) იხილავს პოლიტ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის გეგმას;

გ) იხილავს საკითხებს, რომლებიც ეხება ბრიგადის მიმღინარე ცხოვრებას;

დ) იჩჩევს ბრიგადირს, მერგოლურებს და რექომენდაციას აძლევს კოლმეურნეობის გამგეობას (საბჭოთა მეურნეობის დირექტორის) მათ დასამტკიცებლად;

ე) ისმენს ბრიგადირის ანგარიშს ბრიგადის მუშაობის შესახებ;

ვ) იხილავს რეოლების სოცეჯიბრების შედეგებს.

33. მოსწავლეთა ბრიგადის სათავეში დგას ბრიგადირის ტექსტი რეზუმე ბრიგადის საერთო კრების მიერ სკოლის კომკაფშირული ორგანიზაციის რეკომენდაციით, უფროსი კლასების საუკეთესო მოსწავლეთაგან, რომელსაც აქვს ორგანიზატორული ნიჭი და უნარი.

ბრიგადირი: ა) ყოველდღიურად ხელმძღვანელობს რეოლების მუშაობას;

ბ) იწევს და ატარებს ბრიგადის კრებებს და საწარმოო თათ-ბირებს;

გ) ამოწმებს საწარმოო მუშაობას რეოლებში;

დ) უზრუნველყოფს ბრიგადაში დადგენილი დღის რეზიმის შესრულებას;

ე) ანგარიშს აბარებს მუშაობის შესახებ ბრიგადის წევრთა საერთო კრებას.

34. საწარმოო რეოლის სათავეში დგას მერგოლური, რომელ-საც ირჩევს რეოლის წევრთა საერთო კრება, საუკეთესო ინცია-ტივის მქონე მოსწავლეთაგან, რომელთაც გააჩნიათ ორგანიზატო-რული ნიჭი და უნარი.

მერგოლურთა წემაღენლობას იხილავს ბრიგადის საერთო კრება და ამტკიცებს კოლმეურნეობის გამგეობა (საბჭოთა მეურ-ნეობის დირექცია).

მერგოლური: ა) თვალყურს ადევნებს რეოლის შეირ საწარ-მოო დაგალებების შესრულებას;

ბ) ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრების რეოლებში;

გ) რეოლის წევრებთან ერთად იხილავს მიმდინარე საწარ-მოო საკითხებს;

დ) რეოლის მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს ბრიგადირს და კომკაფშირის კომიტეტს;

ე) უზრუნველყოფს რეოლის წევრთა აქტიურ მონაწილეობას ბრიგადის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

ვ) თვალყურს ადევნებს რეოლის წევრების მიერ დადგენილი დღის რეზიმისა და საწარმოო დისკიპლინის დაცვას.

35. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, კოლმეურნეობის გამ-გეობა (საბჭოთა მეურნეობის დირექცია) ხელმძღვანელობენ ბრი-გადის სასწავლო-საწარმოო მუშაობას, ქმნიან პირობებს ბრიგადის წევრთა კულტურული დასვენებისათვის.

კოლმეურნეობის გამგეობა (საბჭოთა მეურნეობის დირექცია);

ა) აწარმოებს ბრიგადის წევრთა მიღებას კოლმეურნეობის

წევრებად (საბჭოთა მეურნეობის მუშებად) საერთო კრებაზე და
სამტკიცებლად;

ბ) განსაზღვრავს მოსწავლეთა ბრიგაზის ოოლსა და დღეს
კოლმეურნეობაზი (საბჭოთა მეურნეობაზი) მის ძირითად საწარმოო
დავალებებს და ამის შესაბამისად გამოყოფს საწარმოო ნაკვეთებს;

გ) კოლმეურნეობის (საბჭოთა მეურნეობის) სახსრებით აწ-
ყობს ბანაკს, სასაღილოს ბრიგადისათვის და ნაგებობებს კულტ-
მასობრივი და სპორტული მუშაობისათვის;

დ) უზრუნველყოფს ბრიგადის სათესლე მასალით, სამუშაო
იარაღებით, მანქანებით, ავტოტრანსპორტით ბრიგადის საწარმოო
დავალების შესაბამისად;

ე) აპიროვნებს ბრიგადაზე პირუტყვას და ცხოველების სად-
გომებს;

ვ) გამოჰყოფს აგრონომისა და ზოოტექნიკოსს ბრიგადის სა-
წარმოო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის;

ზ) ანაზღაურებს ბრიგადის წევრთა, მერგოლურთა ბრიგადი-
ორების შრომას.

36. პედაგოგიური კოლექტივი:

ა) იყალიბებს მოსწავლეთა ბრიგადას, კოლმეურნეობასთან
(საბჭოთა მეურნეობასთან) შეთანხმებით;

ბ) გამოჰყოფს აღმზრდელ-მასწავლებლებს სასწავლო-სააღმზრ-
დელო მუშაობის ხელმძღვანელობისა და ბრიგადის წევრთა კულ-
ტურული დასევნების ორგანიზაციისათვის;

გ) უზრუნველყოფს პლატ-აღმზრდელობით, კულტურულ-მა-
სობრივ და სპორტულ მუშაობას ბრიგადაში;

დ) ხელმძღვანელობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობის
ბრიგადის საწარმოო დავალების შესრულებასა და გადაჭარებით
შესრულებაში;

ე) ხელმძღვანელობს პოლიტექნიკური განათლებისა და შრო
მითი აღზრდის ამოცანების განხორციელებას შემდეგი სახით:

სასწავლო-საწარმოო დავალებათა დამუშავება პოლიტექნი-
კური ციკლის საგნების შესწავლასთან დაკავშირებით;

ბრიგადაში საცდელი მუშაობის დაყენება;

მოსწავლეთა შრომაზე პედაგოგიური კონტროლისა და ხელ-
მძღვანელობის განხორციელება;

კოლმეურნეობებისათვის (საბჭოთა მეურნეობისათვის) დახ-
მარების აღმოჩენა საწარმოო გეგმისა და კოლმეურნეთა შორის
კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის გაშლის საქმეში.

ბ რ ძ ე ნ ე ბ ე № 570

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადგი

1958 წლის 19 ივნისი

პედაგოგიურ ინსტიტუტებში მასწავლებელთა დაუსწრებლად
მომზადების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ

შემოწმებით დადასტურებულია, რომ პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელი განყოფილებების (ქუთაისი, თბილისი) მუშაობა ძირითადად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გაიზარდა დაუსწრებელ სტუდენტთა პასუხისმგებლობა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინების მომზადება-ჩაბარების, საკურსო შრომებისა და საკონტროლო დაგალებათა შესრულების საქმეში.

გაუმჯობესებულია პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაცია და მისი ჩატარება. შექმნილია და დამაკმაყოფილებლად მუშაობს რაიონებში 8 საკონსულტაციო პუნქტი. კარგია დაუსწრებელთა გამოცხადება სასწავლო-საგამოცდო სესიებზე. შედარებით ამაღლდა სახელმწიფო გამოცდების ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე დღეისათვის სწავლობს 2934 სტუდენტი, ხოლო ალ. ჭულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის დ/განყოფილებაზე — 2038 სტუდენტი.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაუსწრებელი განყოფილების სხვადასხვა ფაკულტეტებზე სრული კურსი დაამთავრა 1059 დაუსწრებელმა.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელი განყოფილებების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა მეტად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი.

მთავარი ნაკლი მასწავლებელთა დაუსწრებლად მომზადების საქმეში ის არის, რომ სტუდენტები ჯერ კიდევ არ არიან მინიმალურად უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, დამხმარე ლიტე-

რატურითა და მეთოდური მითითებებით. მაგალითად, ამჟამად დაუსწრებელი განკოფილებების ცველა ფაქულტეტზე დაახლოებით 157 დისკიპლინა ისწავლება, აქედან 94 საგანში ქართული უნივერსიტეტის ან სრულებით არ არის სახელმძღვანელო, ან დიდი ხანია გამოცემულია და არ იშოვება. ამის გამო დაუსწრებელთა დიდი ნაწილი საგნებს ამზადებს მხოლოდ ლექციების დროს ჩაწერილი კონსპექტებით, რაც დიდად ამცირებს დაუსწრებელთა აკადემიურ წარმატებას და მათი ცოდნის დონეს.

სასწავლო-სამეცნიერო სესიების დროსაც კი დაუსწრებელი სტუდენტები ვერ სარგებლობენ ინსტიტუტის ბიბლიოთეკით, რადგანაც დაუსწრებლებს არ აძლევენ წიგნს შინ წასაღებად. არ არის მოვარებული ახლად გამოსული წიგნის, პროგრამის ან მეთოდური მითითებების გაგზავნა დაუსწრებლის საცხოვრებელ ადგილზე.

ზოგი დისკიპლინია არ არის უზრუნველყოფილი პროგრამებით. რუსული ენისა და ლიტერატურის ფაქულტეტისათვის ინსტიტუტებმა პროგრამები მოსკოვიდან უნდა გამოიწერონ, ხოლო ქართული განკოფილებისათვის პროგრამებს აწვდის დაუსწრებელი სწავლების სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი (გამგე ამხ. ზ. ჩინ-ჩილაძე). რიგ დისკიპლინებში პროგრამები ქართულად არაა და მათი გამოცემა აუცილებელია (ენათმეცნიერების შესავალი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია, რუსული ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსი, ბოტანიკა, ზოოლოგია და სხვ.). თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დ/განკოფილებაზე სტუდენტურამდე პროგრამები ვერ დაჰყავთ იმ საგნებშიაც კი. რომელებმაც ისინი არ სებობს.

დაუსწრებელი სწავლების სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი დაუსწრებელი განკოფილებისათვის უმთავრესად ამზადებს პროგრამებსა და ინსტიტუტების წარმოდგენით ამრავლებს საკონტროლო სამუშაოთა თემატიკას, ხოლო მთავარი რჩება უყურადღებოდ. ეს მთავარია სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ზოგიერთ საგანში საკვანძო საკითხებზე მონაკვეთების დაბეჭდვა და დაუსწრებლებაზე დაყვანა:

აღსანიშნავია, რომ დაუსწრებელი განკოფილებები არ არიან უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური ლექტორებით, სტაციონარის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები, კათედრების გულგრილობის შედეგად, ნაკლებად არიან ჩაბმული სალექციო მუშაობაში დაუსწრებლებთან. დაუსწრებელ-სტუდენტებთან ლექციებს კითხულობენ საათობრივი ანაზღაურებით ნაკლები კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთა საქმიანობას კონტროლს არ

უწევენ კათედრის გამგები, არ ხდება ლექციებზე ურთიერთდას-
წრება, პროგრამის შესრულების შემოწმება და სხვ. მაგალითად,
თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებები
ბაზე გასულ სასწავლო წელს მოწვეული ლექტორების მიერ წაკითხული
ხული იყო 2770 საათი, აქედან მხოლოდ 16 საათია-წაკითხული
პროფესორის მიერ, ხოლო 170-საათი დოკუნტის მიერ. პრო-
ფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური გეგმები ზოგჯერ არ
ითვალისწინებს შესრულების შესაძლებლობას.

პედაგოგიური ინსტიტუტების ფაკულტეტთა დეკანები უმე-
ტესად არავითარ მონაწილეობას არ იღებენ დაუსწრებელი გან-
ყოფილებების მუშაობაში, ხოლო ინსტიტუტის დირექტორები
ურიგდებიან ამ მდგომარეობას და არ ავალებენ მათ უხელმძღვა-
ნელონ შესაბამის ფაკულტეტებს. თბილისის პედინსტიტუტის დაუს-
წრებელ განყოფილებაზე ფაკულტეტების მთელი ხელმძღვანელობა
ფაკტურად მეთოდისტებს აქვთ დავალებული.

თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყო-
ფილებაზე 6 მეთოდისტი მუშაობს. მათ შორის არიან ისეთები,
რომლებიც ვერ აკაკითავილებენ იმ დიდ მოთხოვნილებებს, რაც
უმაღლესი სასწავლებლის, ნით უცეტეს დაუსწრებელი განყოფი-
ლების, სტუდენტების ხელმძღვანელს ევალება. მაგალითად, ისტო-
რიის ფაკულტეტს – ხელმძღვანელობს მეთოდისტი ვ. მამუჩიშვილი,
რომელსაც 1941 წელს აქვს დამთავრებული სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის დაუსწრებელი განყოფილების ისტორიის სპეციალობა.
ამის შემდეგ მას კვალიფიკაციის ამაღლებაზე არ უფიქრია, ხოლო
1952 წლიდან შეთოდისტად მუშაობს. ამ. მამუჩიშვილი უმაღლესი
სასწავლებლის ხელმძღვანელ თანამდებობაზე არ შეიძლება იყოს
მისი მეტად ნაკლები განვითარების გამო. იგი წერის დროს მე-
ტად უხეშ შეცდომებს უშევებს. უფრო სავალალოა ის გარემოება,
რომ ასეთი მომზადების პირი თვითნებურად პედაგოგიურ დატ-
ვირთვასაც ისრულებს. საკონტროლო დავალებათა გასწორებისა და
ლექციების წაკითხვის სახით.

ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს 1954 წლიდან ფაქტიურად
ხელმძღვანელობს ამ. ნ. ახვლედიანი. მისი მისამართი ბევრი
საჩივარი შემოდის, როგორც ინსტიტუტის დირექტორი, ისე გა-
ნათლების სამინისტროში. მას უჩივიან უხეშობას და ტენადენციუ-
რობას. იგი არასწორად აწარმოებს სტუდენტთა წარმატების აღ-
რიცხვის წიგნს, რომელიც საკუთარი პირობით ნიშნებით აქვს
სავსე და სტუდენტის წარმატების შესახებ სხვა ვერაფერს გაიგებს:
არც სტუდენტთა აკადემიური აღრიცხვის ბარათია წარმოებული

წესიერად. ამხ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ს წარსულ მუშაობაშიც პქონლა
უხეში დარღვევა, რისთვისაც სასტიკი საყვედლური გამოეცხადა.
ასევე არეული აქვს სტუდენტთა წარმატების აღრიცხვის მიზანის
რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეთოდისტის აცხ.
ხუბულოვს. ხშირია შემთხვევა, როდესაც სტუდენტს არა აქვს
ჩაბარებელი პირველი და მეორე კურსის საგნები ან ჩათვლები,
მაგრამ იგი გადაყვანილია შემდეგ კურსზე. ზოგჯერ სტუდენტს
უშვებენ საგნის ჩასაბარებლად არა თვით საგნის წამყვან ლექ-
ტორთან.

ხშირად საგამოცდო უწყისება უწესოდაა გაფორმებული, გა-
კეთებული აქვს სხვადასხვა საიის მინაწერები (რუსული ენისა და
ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ისტორიის ფაკულტეტზე).

თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დ/განყოფილებაზე სა-
კონტროლო თემების გაგზავნის, მიღებისა და თავის დროზე რე-
ცენტრიების საქმე ვერ იყო სათანადოდ მოწესრიგებული: წარმოდ-
გვიდო საკონტროლო სამუშაოებს ატარებენ 4 სხვადასხვა დავთარ-
ში, რაც იწვევს აბნეულობას. ზოგიერთი ლექტორი დროულად არ
აპრიუნებდა რეცენზირებულ ნაშრომს, ზოგი რეცენზია არაფრის
მთქმელია.

რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სამდიგნო
სრულიად არ აწარმოებდა საკონტროლო სამუშაოების მიღების აღ-
რიცხვას.

აღსანიშნავია, რომ პედაგოგიურ ინსტიტუტებს ნაკლები კავ-
შირი აქვთ განათლების განყოფილებებთან, ხოლო განათლების
ორგანოები და სკოლის დირექტორები ადგილებზე არავითარ დან-
მარებას არ უწევენ დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბჟულ მასწავლებ-
ლებს, ზოგ შემთხვევაში დაუსწრებლები მათვის დადგენილი შე-
ლივათებითაც ვერ სარგებლობენ, არ ხდება დაუსწრებელთა გან-
ტვირთვა სხვადასხვა დავილებისაგან. არ იძილავენ დაუსწრებელთა
წარმატების და დამოუკიდებელი მუშაობისათვის პირობების შექ-
მნის საკითხებს და სხვა.

პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე
არსებული მდგომარეობის გარდაქმნისა და დაუსწრებელთა სწავ-
ლების ზარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ა. პუშკინის სახ. თბილისის და ალ. წულუკი-
ძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტე-
ბის დირექტორებს (ლოც. გ. ტალიაშვილი, ლოც. ლ. ჭელიძე):

ა) პირველ ივლისამდე ფაქულტეტის დეკანებსა და ქადაგრის გამგეებთან ერთად განიხილონ დაუსწრებელი განყოფილების მუშაობის მდგომარეობა და მიღლონ სასწავლო ზომები არც და მასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაუსწრებელი განყოფილების ნილალების მიღლონ და სტაციონარზე მომუშავეთა პირებით. დაუსწრებელთა ცოდნის ხარისხის მიზნით სათანადოდ გახარდონ მოთხოვნილება საგნების ჩაბარებასა და საკონტროლო და საკურსო შრომების შესრულებაზე:

ბ) დააგალონ სტაციონარის შესაბამის ფაქულტეტის დეკანებსა და კათედრის გამგეებს უხელმძღვანელონ ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების ფაქულტეტებს სტაციონართან ერთად. განუმიარეონ დეკანებსა და კათედრების გამგეებს, რომ ისინი ერთნაირად არიან პასუხისმგებელი ინსტიტუტის სტუდენტთა წარმატებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციისათვის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე. შეიტანონ ეს ვალდებულება პედაგოგიური ინსტიტუტის შინაგანაწესები;

გ) დააგალონ ფაქულტეტის დეკანებს დაუსწრებელ განყოფილებაზე ფაქულტეტის სასწავლო მუშაობის დაგეგმვა, აკადემიური მოსწრების აღრიცხვა, ფაქულტეტზე გაერთიანებული კათედრის მუშაობის წარმართვა და კონტროლი, მეთოდისტების მუშაობაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი.

დ) დააგალონ კათედრის გამგეებს: დაუსწრებელი განყოფილების პროფესიონალური მასწავლებლებით უსრუნველყოფა, საკონტროლო და საკურსო სამუშაოთა შედგენა, მათი აღრიცხვიანობის დროულად შესრულებისა და რეცენზირების ხარისხის შემოწმება, ჩასტარებელი ლექციების, პრაქტიკულების ხარისხის და დაუსწრებელი სწავლების თავისებურებათა გათვალისწინებით წარმართვის შემოწმება, გამოცდა-ჩათვლების სწორი და ობიექტური თრგანიზაცია;

ე) გარდაქმნან ინსტიტუტის ბიბლიოთეკის მუშაობა იმგვარად, რომ სასწავლო-სასესიო პროცესში ჩამოსულმა დაუსწრებლებმა დაუზრუნველყოდა ისარგებლონ ბიბლიოთეკით.

2. ნება დაერთოს პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორებს საგანმარტივო არღადეების პერიოდში გამოიძახონ განოცდა-ჩათვლების ჩასაბარებლად და პრაქტიკულ სამუშაოთა შესარულებლად ის დაუსწრებლები, რომლებიც საპატიო მიზეზით არ დასწრებიან ზამთრის სესიებს.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ ქულტურის სამინისტროს:

ა) დაუსწრებელ მასწავლებელთა სახელმძღვანელოებისა და დამშვიდობისას განვითარების მიზანით და ვალოს „საქართველოს“ მიმართველობას, მიიღოს პედაგოგიური ინსტიტუტის ტურებიდან დაკვეთები დაუსწრებელთათვის საჭირო ლიტერატურაზე, წიგნის გამოსვლისას დანაკვეთი გადაუგზავნონ ინსტიტუტებს;

ბ) დაავალოს გამომცემლობა „ცოდნის“ ხელმძღვანელობას უზრუნველყონ დაუბრუკოლებელი ბეჭდვა იმ პროგრამების, მეთოდური მითითებების, გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოებისა და დამშვიდობისას, რომელსაც მათ მიაწვდის საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

4. დაევალოს დაუსწრებელი სწავლების სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამგეს (ამბ. ზ. ჩინჩალაძე):

ა) გაამრავალფეროვანოს კაბინეტის მუშაობა იმგვარად, რომ მხოლოდ პროგრამებით და საკონტროლო ორმატიკის გამრავლებით არ შემოიზღუდოს იგი, არამედ დაამუშაოს მეთოდური მითითებები, პროგრამების განმარტებები, სახელმძღვანელოები, დამსარე სახელმძღვანელოები, მონაკვეთები ძირებულ საკითხზე, განსაკუთრებით იმ საგანში, რომელშიც სახელმძღვანელოების ნაკლებობაა;

ბ) შეისწავლოს დაუსწრებელ განყოფილებათა მოთხოვნილება სასწავლო პროგრამებით უზრუნველყოფის საქმეში და შეაქსოს ის ხარვეზი, რომელიც იგრძნობა ზოგიერთ დისკიპლინაში პროგრამების უქონლობის გამო.

5. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამბ. ა. კვაჭაძე):

ა) გადასინჯოს დაუსწრებელი განყოფილების იღმინისტრაციულ-დამშვიდო პერსონალის საშტატო განრიცი მისი გადიდების თვალსაზრისით სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. ამასთან გაითვალისწინოს თბილისის და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებისათვის თთო საშტატო ერთეული ექსპედიტორისა, რომელსაც დაევალება დაუსწრებელ სტუდენტთა მომარაგება მათთვის საჭირო ლიტერატურით;

ბ) გაითვალისწინოს დაუსწრებელი სწავლების სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის საპონორაზო თანხების გადიდება, რომ კაბინეტს საშუალება მიეცეს გარდაქმნას მუშაობა ამ ბრძანების შესაბამისად.

6. დაევალოს ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორს დოც. გ. ტალიაშვილს და მის მოადგილეს დაუსწრებელი სწავლების დარგში

დოც. ბ. ქიქოძეს გადახვდონ შეთოდისტთა შემადგენლობას იმ
თვალსაზრისით, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ის პირები,
რომელიც არ შეეფერებიან თავის თანამდებობას, და დანიშნულებული
ისეთი მუშაკები, რომლებსაც სათანადო მონაცება ექნება და სა-
ხელს შეუწყობენ. ფაქულტეტის დეკანებს სწორად წარმართონ
დაუსტრიბლებთან სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და მეთო-
დური მუშაობა.

7. დაევალოს ასსრ განათლების მინისტრებს, ავტონომიური
ოლქის, ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილების გამ-
გებს უზრუნველყონ სკოლის ყოველი საინსპექტორო გასინჯვის
დროს მასწავლებელთა დაუსტრიბელი სწავლების მდგომარეობის
შემოწმება, სკოლის დირექტორებს წაუყენონ მეტი მოთხოვნილება.
რომ მათ განახორციელონ პირადი სისტემატური კონტროლი
დაუსტრიბელ სწავლებაში ჩაბმული მასწავლებლების მიერ სასწავლო
დაგაღებების შესრულებაზე, აგრეთვე შეუქმნას დაუსტრიბლებს სა
ჭირო პირობები. დამოუკიდებელი სასწავლო მუშაობისათვის მთავ-
რობის დადგენილებათა შესაბამისად.

8. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ და ურნალ
„კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქტორებს პერიოდულად გა-
აშუქონ დაუსტრიბელ სწავლებასთან დაკავშირებული ორგანიზა-
ციულ-მეთოდური საკითხები.

9. დაევალოს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებ-
ლების სამმართველოს (ამხ. ი. გვერდ წითელს):

ა) დაამუშაოს და გამოიტანოს კოლეგიაზე განსახილებულად
დაუსტრიბელი განყოფილების მეთოდისტთა მუშაობის დებულება;

ბ) მოახდინოს ქუთაისისა და თბილისის პედაგოგიური ინ-
სტიტუტების დაუსტრიბელი განყოფილებების ყოველმხრივი დოკუ-
მენტალური შემოწმება და შედევი მოახსენოს კოლეგიას ა. წ. ოქ-
ტომბერში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1958 წლის 6 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი — გ. ჭავაძე

300 ტკიცვებ

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ბ. ნ. ჯიბლა ქადაგი
ქ. თბილისი, 1958 წლის 29 მარტის ხელის

შე თანხმი და დუღია:
საქართველოს სსრ განათლების, უმაღ-
ლესი სასწავლებლების და სამეცნიერო
დაწესებულებების მუშავთა პროფესიო-
ნის რესპუბლიკური კომიტეტის თავ-
მჯდომარე

ლ. მალლაფერიძე

პრომის შინაგანი ნივთი სკოლა-ინზერნაციის მუშაქთა თვის

I. ს ა ე რ თ ო დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონ-
სტიტუციის 130-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის ყოველი მო-
ქალაქე ვალდებულია დაიცვას შრომის დისკიპლინა.

შრომის დისკიპლინა საბჭოთა კავშირში ეყრდნობა შრომი-
სადმი მოქალაქეთა შეგნებულ დამოკიდებულებას.

2. შრომის შინაგანაწესის მიზანია უზრუნველყოს შრომის სო-
ციალისტური დისკიპლინის განმტკიცება, შრომის სწორი ორგა-
ნიზაცია და მისი უშიშროების პირობები, სამუშაო დროის მთლია-
ნად და რაციონალურად გამოყენება, შრომის საუკეთესო პირობე-
ბის შექმნა, რათა სკოლა-ინტერნატებში მიღწეულ იქნეს სასწავ-
ლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება.

II. ს კ ო ლ ა - ი ნ ტ ე რ ნ ა ტ ი ს მ უ შ ა კ თ ა მ ი ღ ბ ი ს ა დ დ ა თ ხ თ ვ ნ ი ს წ ე ს ი

3. სკოლა-ინტერნატის ღირექტორს, სასწავლო-სააღმზრდელო
ნაწილის გამგეს, მასწავლებლებს, უფროს აღმზრდელს, აღმზრდე-
ლებს, ბუბპალტერს, აგრონომს, შრომის სტატს და ღირექტო-
რის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში ნიშნავს, ერთი ადგილიდან
მეორეზე გადაყავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლე-
ბის სამინისტრო.

უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს, ერთი ადგილიდან
მეორეზე გადაყავს და ათავისუფლებს რაიონის (ქალაქის) განათ-
ლების განყოფილება ილჭკ რაიონულ, საქალაქო კონიტეტითან შე-
თანამებით.

ექიმსა და ექთანს ნიშნავს და ათავისუფლებს ჯანმრთელობის
დაცვის შესაბამისი ორგანოები. სკოლა-ინტერნატის წრატით გა-
თვალისწინებული ტექნიკური ნუშავები: ნეცეცხლური, მრეცხავი,
მზარეული, სამჩარეულოში მომუშავენი, ნეკუნიავი, დარჯი, ღანის

ძინა, მკერავი, თეოტრეულის გამგე და სხვა დაბალი შოშახურე პერსონალი სამუშაოზე მიღებიან და განთავისუფლდებიან სკო-ლა-ინტერნატის დირექტორის მიერ. მუშავის მიღება-განთავისუფლდება აუცილებლად უნდა გაფორმდეს სათანადო ბრძანებით.

4. სამუშაოზე მიღებისას აღმინისტრაცია ვალდებულია მისა-ლებ პირს მოსთხოვოს შროვის წიგნაკი, ცნობა ჯანმრთელობის მღვმარეობის შესახებ და პასპორტი. იმ ადგილებში კი, სადაც პასპორტი არ არის შემოღებული ტა იმ პირს, ვინც პირველად იწ-ყებს მუშაობას—სახლმართველობის ან სასოფლო საბჭოს ცნობა უკანასკნელი საქმიანობის შესახებ.

პედაგოგიური და სამედიცინო პერსონალის სამუშაოზე მიღე-ბისას აღმინისტრაცია ვალდებულია, გარდა ზემოაღნიშნული საბუ-თებისა, მოითხოვოს აგრეთვე დიპლომი განათლების შესახებ.

იმ პირთ, რომლებსაც 1—3 წლის წინათ აქვთ დამთავრებუ-ლი პედაგოგიური ინსტიტუტი, სამასწავლებლო ინსტიტუტი და პედაგოგიური სასწავლებელი აღმინისტრაცია ვალდებულია მოსთ-ხოვოს საქართველოს სარ განათლების სამინისტროს მიერ გაცემუ-ლი მივლინების მოწმობა (საგზური) და საბუთი განათლების შესახებ.

ამ დოკუმენტების გარეშე სამუშაოზე მიღება დაუშევებელია. აღმინისტრაციას უფლება არა აქვს სამუშაოზე მისაღებ პირს მოს-თაოვოს ზემოაღნიშნულის გარდა სხვა რაიმე დოკუმენტი.

მასწავლებლის, აღაზრდელის, ბუჭხალტრის, აგრონომის, შრო-მის ხელოსნის, დირექტორის თანაშემწის სამნეო ნაწილში, უფ-როსი პიონერხელმძღვანელის, ექიმისა და ექთანის სკოლა-ინტერ-ნატებში სამუშაოზე მიღება ფორმდება სკოლა-ინტერნატის დი-რექტორის ბრძანებით. ოც გამოიცემა იმ ორგანოს ბრძანების სა-ფუძველზე, რომელიც ნიშნავს აღნიშნულ მუშავებს. ბრძანების და-წერასთან ერთად სკოლა-ინტერნატის დირექტორს სათანადო ჩა-ნაწერი შეაქვს სამუშაოზე მიღებულის შრომის წიგნაკში.

5. იმ პირის შრომის წიგნაკი, რომელიც პირველად იწყებს მუშაობას, შეცემდებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 5 ლინა სამუშაო-ზე მიღებიდან.

სკოლა-ინტერნატში შეთავსებით მომუშავე პირის შრომის წიგნაკი ინახება პირითად სამუშაო აღილზე.

შრომის წიგნაკებს სკოლა-ინტერნატის აღმინისტრაცია ინა-ხავს ცეცხლგამძლე კარადაში (ყუთში).

6. მასწავლებლის, სასწავლო სააღმზრდელო ნაწილის გამგის, უფროსი აღმზრდელის, აღმზრდელის, პიონერხელმძღვანელისა და სხვა პედაგოგიური მუშავის პირადი საქმის წარმოება იწყება სკო-ლა-ინტერნატში მუშაობის დაწყების დღიდან.

პირად საქმეში ინახება: კადრების აღრიცხვის პირადი გარე-
თი, აფტომბიოგრაფია, სანოტარო წესით შემოწმებული განათლების/
მოწმობის ასლი, მასწავლებლის პერსონალური წოდების უზრუნველყოფა
ბის დოკუმენტის ასლი (იმ პირთათვის, რომლებმაც ატესტაცია
გაიარეს), ბრძანება დანიშვნის, გადაყვანა-გადანაცვლების შესახებ,
დახსიათება.

შენიშვნა: განთავისუფლების შემდეგ სკოლა-ინტერნატის მუშა-
კის პირადი საქმე ადგილზე ჩატარდა და ინახება რო-
გორც საარქივო მასალა.

7. თუ მოსალოდნელია შტატის შემცირება, სკოლა-ინტერნა-
ტის დირექტორი ვალდებულია თავის დროზე აცნობოს პროფესი-
შირის ადგილობრივ კომიტეტს იმის შესახებ, თუ რამდენი ჭუშაკი
უნდა შემცირდეს და როგორ არის დაგეგმილი მათი შემდგომი
შრომამოწყობის საქმე.

8. თვითოული სკოლა-ინტერნატი ყველა მუშაკზე აწარმოებს
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული
ფორმის სააღრიცხვო წიგნს, რომელიც ინახება ცეცხლგამძლე კა-
რაღაში (ყუთში).

9. მუშაკის სამუშაოზე მიღებისას და სხვა სამუშაოზე გადა-
ყვანის შემთხვევაში სკოლა-ინტერნატის ადმინისტრაცია ვალდე-
ბულია:

ა) განუმარტოს მუშაკს მისი უფლება-მოვალეობანი, შრომის
ანაზღაურების პირობები, გააცნოს მას მუშაობის, სასწავლო და
სამეურნეო ნივთების მოვლა-პატრონობის წესები;

ბ) გააცნოს შრომის შინაგანაწესი, ინსტრუქტაჟი გაუწიოს
უსაშიშრობის ტექნიკაში, საწარმოო სანიტარიის, ხანძარსაწინა-
აღმდეგო წესების დაცვაში.

10. მასწავლებლის, აღმზრდელისა და შრომის ოსტატის სა-
მუშაოზე გადანაცვლება ხდება შრომის კანონთა კოდექსის 36-ე და
37-ე მუხ. ზუსტი შესაბამისობით—ვიდრე ისინი შეებულებას აი-
ლებდნენ. იმ ანგარიშით, რომ შეებულების გაფორმებისას მასწავ-
ლებელმა, აღმზრდელმა, შრომის ხელოსანმა იკოდეს, თუ რომელ
ჯგუფში ან კლასში და რა დატვირთვით მოუხდება მას მუშაობა
ახალ სასწავლო წელს.

11. მასწავლებელთა განთავისუფლება კლასკომპლექტებისა ან
სასწავლო დატვირთვის შემცირების გამო დასაშვებია მხოლოდ
სასწავლო წლის დამთავრებისას.

12. თუ სკოლა-ინტერნატის მუშაკს თვითონ სურს სამუშაო-

ბილოს ამის შესახებ სკოლის აღმინისტრაცია. ორი კვირის გას-
ვლის შემდეგ აღმინისტრაციას უფლება არა აქვს დაუგვიანოს ან
გარიშის გასწორება და განთავისუფლება იმ პირს, ვინც თავისი
სურვილით თავისუფლება.

13. მუშავის განთავისუფლებისას აღმინისტრაცია ვალდებუ-
ლია განთავისუფლების მიზეზის მიუხედავად, იმავე დღეს შისცეს
მას შრომის წიგნაკი განთავისუფლების აღნიშვნით და გაუსწოროს
საბოლოო ანგარიში. განთავისუფლების მიზეზი ნაჩენები უნდა
იქნეს მოქმედი შრომის კანონმდებლობის ფორმულირების ზუსტი
შესაბამისობით ან მოქმედი კანონმდებლობის სათანადო მუხლის
ჩვენებით.

სამუშაოდან განთავისუფლებული მუშავისათვის შრომის წიგ-
ნაკის გაცემის შეფერხებაში დაზნაშვე პირი პასუხს ავებს დის-
კიბლინარული წესით.

III. სკოლა-ინტერნატის აღმინისტრაციისა და
მუშავების ძირითადი მოვალეობანი

14. სკოლა ინტერნატის აღმინისტრაცია მოვალეა:

ა) სწორად მოაწესრიგოს მუშავთა შრომა ისე, რომ თვითეუ-
ლი მათგანი მუშაობდეს თავისი სპეციალობისა და კვალიფიკაციის
მიხედვით, ებრძოლოს გაუპიროვნებას მუშაობაში:

ბ) ყველა მუშავს შეუქმნას ნორმალური პირობები; სკოლა-ინ-
ტერნატის პედაგოგიური პერსონალი სასწავლო წლის დაწყებამდე
უზრუნველყოს სასწავლო, თვალსაჩინო ხელსაწყოებით, მეთოდური
ლიტერატურით:

გ) თვითეულ მუშავს მიუჩინოს გარკვეული სამუშაო აღგილი,
მუშაობისათვის საჭირო ინვენტარი, მოწყობილობა და სასწავლო
ხელსაწყოები;

დ) უზრუნველყოს სკოლა ინტერნატის ყველა სადგომის წე-
სიერად შენახვა, მათი რემონტის დროულად ჩატარება, მთელი
ქონების მოვლა პატრონობა და სანიტარულ-ჰიგიენური და ხან-
ძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა;

შექმნას ნორმალური პირობები სკოლა-ინტერნატის მუშაო-
ბისათვის, სისუფთავე დაიცეს სასწავლო, საცხოვრებელ და სხვა
სადგომებში, უზრუნველყოს ნორმალური ტემპერატურა შენობებში
(იქ. სადაც სასწავლო მეცადინეობა ტარდება, ტემპერატურა უნდა
იყოს არანაკლები 15° ც., საძინებელ და სხვა საყოფაცხოვრებო
სადგომებში — არანაკლები 18° ც.).



ე) განამტკიცოს შრომის დისკიპლინა;

ვ) შექმნას პირობები საუკეთესო მასწავლებელთა, შირდილების
ზრდელთა და სკოლა-ინტერნატის სხვა მუშაკთა გამოცდილების
გავრცელებისა და დანერგვისათვის;

ზ) გაატაროს ღონისძიებები სასწავლო-აღმზრდელობითი მუ-
შიობის რაციონალიზაციის, მასწავლებელთა, აღმზრდელთა დროის
ბიუჯეტის მოწესრიგებისა და სკოლა-ინტერნატის ყველა მუშაკის
იდეურ-პოლიტიკური ღონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ყოველმხრივ აამაღლოს საწარმოო თაობირების როლი, შექ-
მნას ყველა პირობა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტი-
კის ფართოდ გაშლისათვის და სამი დღის ვადაში განიხილოს სკო-
ლა-ინტერნატის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული წინა-
დადებები:

თ) შეასრულოს შრომის დაცვის კანონები და წესები, მტკი-
ცედ დაიცვას სამუშაო დღის განაწესი, განხხორციელოს უსა-
ფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის ტექნიკის ღონისძიებანი,
ინსტრუქტიულ გაუწიოს თანამშრომელს მუშაობაში საფრთხის თა-
ვიდან აცილების ხერხებზე, მოამარავოს გადაღულებული სასმელი
წყალი, სათანადოდ მოაწყოს მასწავლებელთა და აღსაზრდელთა
პირსაბნები, საგარდერობო, დასასევენებელი ოთახი. სასწავლო ოთა-
ხებში დაიცვას ტემპერატურა $16-18^{\circ}\text{C}$. ფიზიკულტურის დარბაზ-
ში $15-16^{\circ}\text{C}$; უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატის ყველა სადგომის
ყოველდღიური სველი დასუფთავება და მათი ნორმალური განა-
თება;

ი) დროული ჩატაროს საჭირო პროფილაქტიკური ღონის-
ძიებანი სკოლა-ინტერნატში, სახელოსნოებსა და კაბინეტებში და
პასუხი ავს აღსაზრდელთა სიცოცლისა და ჯანმრთელობის და-
ცვისათვის; ამ მიზნით არ დაუშვას უსაფრთხოების ტექნიკის წე-
სების დარღვევა და ამის შედეგად საწარმოო ტრაგმის შესაძლებ-
ლობა;

კ) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატის ყველა მუშაკისათვის
შვებულების თავის დროზე მიცემა.

შენიშვნა: 1. შვებულების გრაფიკი სკოლა-ინტერნატის აღმი-
ნისტრაციამ უნდა შეადგინოს არა უგვიანეს ყოველი
წლის 1 იანვრისა, შეათანხმოს იგი პროფორგანიზა-
ციის და ღრუულად გამოუცხადოს მუშაკებს.

2. სკოლა-ინტერნატის ბაშტავლებლებს, საჭარ-
ლო ნაწილის გამგეს შვებულება, როგორც წეზი, და-
ლევათ საზაფხულო არდადეგების პერიოდში.

3. სკოლა-ინტერნატის დირექტორის შემთხვევა
ბა ფორმდება საქართველოს სარ განათლების სამი-
ნისტროს ბრძანებით, სასწავლო-სამსახურდელო ნა-
წილის გამგის, მასწავლებელთა, აღმზრდელთა და
სხვა მუშავთა შვებულებები კი სკოლა-ინტერნატის
დირექტორის ბრძანებით.

ლ) გულისხმიერად მოეპყრის მუშავთა ყოველდღიურ საჭი-
როებას; სკოლა-ინტერნატის ხარჯზე მიიყვანოს უახლოეს სამუშა-
ნალო დაწესებულებებში უეცრად ავადგამიდარი თანამშრომელი;
იზრუნოს. მუშავთა ბინებით უზრუნველყოფისათვის, სოფლის ად-
გილებში კი მიაღწიოს იმას, რომ ბასწავლებლებს და მათ ოჯა-
ხებს მიეცეთ უფასო ბინები, გათბობა—განათებით (ნატურით);
დროულად ჩატარონ სასკოლო ბინების კაპიტალური რემონტი;

მ) ზუსტად დაწესებულ ვადებში გასცეს მუშავთა ხელფასი,
დროულად წარუდგინოს განათლების სამინისტროს მასწავლებელ-
თა, აღმზრდელთა და სკოლა-ინტერნატის სხვა მუშავთა ტარიფი-
კაციისათვის საჭირო დოკუმენტები.

15. სკოლა-ინტერნატის მუშავები ვალდებული არიან:

ბ) დაიცვან შრომის დისკიპლინა, სასწავლო რეჟიმი და შრო-
მის შინაგანაწესი;

გ) თავის დროზე გამოცხადდნენ სამუშაოზე; ზუსტად, ყოველ-
გვარი დარღვევის გარეშე დაიცვან სამუშაო დროის დაწესებული
ხანგრძლივბა და ნაყოფიერად გამოიყენონ იგი; დროულად და
ზუსტად შეასრულონ აღმინისტრაციის განკარგულებანი;

დ) დროულად და გულმოდებინედ შეასრულონ დაკისრებული
მოვალეობანი, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე
უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხა-
რისხი; სისტემატურად აიმაღლონ თავისი კვალიფიკაცია;

ე) გაუფრთხოს სოციალისტურ საკუთრებას: მოწყობი-
ლობას, ინვენტარს, მასალებს, სასწავლო ნივთებს და სხვ.;

ვ) მთლიანად დაიცვან სათანადო ინსტრუქციებით გათვა-
ლისწინებული უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარ-
საწინააღმდეგო წეს ბი.

16. სკოლა ინტერნატის დირექტორი წოვალეა უზრუნველ-
ყოს; მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, პოლიტექნი-

კური სწავლების და მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მაღალდონებები; მოსწავლეთა მომზადება პრაქტიკული საქმიანობისათვის; მცირდო კავშირის დამყარება იმ წარმოებებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნებობებთან და მტს-თან, სადაც მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკა ტარდება; მშობლებთან კავშირი და მათთან მუშაობა; სკოლა-ინტერნატისადმი დამხმარე კომიტეტის ორგანიზაცია; დახმარების გაწევა პიონერული, კომედიურული ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა თვითშემატველობის ორგანიზაციებისათვის; სკოლა-ინტერნატის მთელი საქმიანობის სწორი ორგანიზაცია სამუშაო გეგმის მიხედვით; სკოლა-ინტერნატის მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სხვა თანამშრომელთა მუშაობაზე პირადი კონტროლი; ახალგაზრდა მასწავლებელთა და აღმზრდელთავის დახმარების გაწევა; მუშაკთა იდეურ პოლიტიკური. დონისა და კვალიფიკაციის ამაღლება; დაწესებული სტატისტიკური ანგარიშების წარმოება; წერილობითი წლიური ანგარიშების შედგენა სკოლა-ინტერნატის მუშაობის შესახებ.

სკოლა-ინტერნატის დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა შემდეგზე: აღსაზრდელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, ყველა პირობის შექმნა მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის; მოსწავლეთა დროული და მაღალხარისხიანი კვება; მატერიალური ბაზის შექმნა პოლიტიკისური სწავლებისათვის; სკოლა-ინტერნატის სათანადო მატერიალური ბაზის შექმნა; შენობების დროული რემონტი; საობობით მომარავება, რბილი და მაგარი ინვენტარით მომარავება; ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების შესრულება.

დირექტორი თავმჯდომარეობს სკოლა-ინტერნატის პედაგოგიურ საბჭოს და ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

დირექტორი უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის წიგნის და თვითეული აღსაზრდელისა და თანამშრომლის პირადი საქმის წარმოებას; ის არის სკოლა-ინტერნატისათვის გამოყოფილი კრედიტების განვიარგულებელი, პასუხის ავტორი სახსრების სწორი ხარჯვისათვის საშტატო განრიგისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლა-ინტერნატის დებულების საფუძველზე სკოლა-ინტერნატის დირექტორის მიერ გაცემული განვარგულებანი სავალდებულოა სკოლა-ინტერნატის მომუშავე ყველა თანამშრომლისათვის და შეიძლება შეცვლილ იქნეს განათლების სამინისტროს მიერ.

17. სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე უშუალოდ ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდელობითს და

მეთოდურ მუშაობას სკოლა-ინტერნატში და დირექტორის წინაშე პასუხისმგებელია ამ მუშაობის დაყენებისათვის.

სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე მოვალეა კუთხით და კონტენტით კელყოს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და შოსტავლეთა პოლიტექნიკური სწავლების სწორი ორგანიზაცია; სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხარისხი, მოსწავლეთა ცოდნის აღრიცხვისა და საშინაო დავალებებზე მუშაობის სწორად დაყენება; აღმზრდელთა და მასწავლებელთა მხრივ სამუშაოთ გეგმების, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულება; აღმზრდელების, მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაზე კონტროლი; მასწავლებლებთან და აღმზრდელებთან მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია; სკოლა-ინტერნატის დირექტორთან ერთად წერილობითი ანგარიშის შედგენა სკოლა-ინტერნატის წლიური მუშაობის შედეგების შესახებ.

სასწავლო სააღმზრდელო ნაწილის გამგის სამუშაო დღე არა-ნორმირებულია;

18. დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში პასუხისმგებელია შემდეგზე: სკოლა-ინტერნატის მეურნეობის წესრიგში ყოფნა, მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის უზრუნველყოფა საჭირო გასალა-ხელსაწყოებით, სადგომებისა და ინენტარის რემონტი, აგრეთვე სკოლა-ინტერნატის მთელი ქონების დაცვა-პატრონობა; კვების პროდუქტებისა და ტანსაცმელ-ფეხსაცმელის, სათბობისა და სახელოსნოებისათვის საჭირო მასალების დროულად მიღება და სკოლა-ინტერნატში ჩიტანა; შენობების ნორმალური ექსპლოატაცია, სკოლა-ინტერნატის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სათანადო სანიტარულ მდგომარეობაში ყოფნა; ტრანსპორტის სწორი გამოყენება.

დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში უზრუნველყოფს მომსახურე პერსონალის ინქტრუქტურისა და მის მუშაობაზე კონტროლს; ხანძარსაჭირალობაზე კონტროლის შესრულებას.

დირექტორის თანაშემწე სამეურნეო ნაწილში სკოლა-ინტერნატის დირექტორის ნებართვით და საფინანსო დისკიპლინის დაცვით აწარმოებს სახსრების ხარჯვას სამეურნეო საჭიროებისათვის და ანგარიშს აბარებს დირექტორს.

სამეურნეო ნაწილში დირექტორის თანაშემწეს სამუშაო დღე არანორმირებულია.

19. მასწავლებელი უშუალო პასუხისმგებელია სკოლა-ინტერნატის დირექტორის წინაშე მოსწავლეთა სწავლებისა და აღმზრდის ხარისხისათვის, სასწავლო გეგმისა და პროგრამების (იმ საგნებში,

რომლებსაც ის ასწავლის) დროულად შესრულების, მოსწავლეთა შემდგომ კლასში გადაყვანისა და მათი სკოლიდან მტკიცე ცოდნით გამოშეებისათვის. შრომის მასწავლებლებმა, გარდა ამისა, უზრუნველყოფის უზრუნველყონ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვა სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სახელოსნოებში და პასუხი აგონ მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის საწარმოო ექსკურსიებისა და საწარმოო პრაქტიკის ჩატარების დროს.

მასწავლებელი გულმოდგინედ უნდა მოემზადოს თვითოული გაკვეთილისა და მეცადინეობისათვის, იქონიოს მათი ჩატარების გეგმა, წესიერად აწარმოოს საკლასო უზრნალი თავის საგანში და სასწავლო წლის ბოლოს შეადგინოს ანგარიში პროგრამის შესრულების შესახებ.

20. სკოლა-ინტერნატებში კლასის ხელმძღვანელები ინიშნებიან და მუშაობენ კლასის ხელმძღვანელის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

21. უფროსი აღმზრდელი პასუხისმგებელია ინტერნატში აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისათვის, დღის რეემბისა და ზინაგანაწესის შესრულებისათვის, ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის. იგი ეწმარება სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეს აღმზრდელთა შორის მეთოდური მუშაობის ორგანიზაციაში, ახორციელებს მათი მუშაობის გეგმების შესრულების კონტროლს, ახდენს გამოცდილების გაზიარებას.

უფროსი აღმზრდელი ატარებს აღმზრდელობითს მუშაობას მისთვის ჩაბარებული ჯგუფის აღსაზრდელებთან. უფროსი აღმზრდელის სამუშაო დრო განისაზღვრება ცხრილით, მაგრამ ის არ უნდა აღმატებოდეს 5 საათს დღეში.

22. აღმზრდელი ყოველდღიურად ატარებს აღმზრდელობით მუშაობას ბავშვებთან, ჯგუფში აწესრიგებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას სასწავლო მეცადინეობისათვის მოსამზადებლად, აღსაზრდელთა აქტიური მონაწილეობით ატარებს სხვადასხვავარ კლასების შემთხვევაში, უფრო და უფრო მუშაობას მისთვის, ახორციელებს იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას და ბავშვებში ნერგავს კულტურული ქცევის ჩვევებს, უზრუნველყოფს დაწესებული რეემბისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესრულებას მოსწავლეთა მიერ.

აღმზრდელი პასუხისმგებელია აღსაზრდელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, მონაწილეობს ბავშვთა ფიზიკური

განვითარებისა და აღზრდისათვის საჭირო პირობების შექმნაში; ოგულარულ კავშირშია სკოლის მასწავლებლებთან და კლასის ხელმძღვანელთან; ბავშვებში ნერგაც საჭირო ურომის ჩილდენს განვითარებისათვის ცილნას. აწესრიგებს ბავშვთა მონაწილეობას საზოგადოებრივ-სა-სარგებლო შრომაში სკოლა-ინტერნატსა და მის გარეთ; ბავ-შვებში ზრდის სოციალისტური საკუთრების და პირადი სარ-გებლობის საგნებისადმი; მხრუნველობით დამოკიდებულებასუზ-რუნველყოფს ჯგუფზე რიცხული მატერიალური ღირებულებისა და მოწყობილობის სწორი გამოყენებასა და მოვლა დაცვას.

აღმზრდელის სამუშაო დრო განისაზღვრება ცხრილით, მაგ-რამ ის არ უნდა აღემატებოდეს 5 საათს დღეში. ლამის მორიგეო-ბის ასანაზღაურებლად აღმზრდელს ეძლევა დასვენება თანაბარი ხანგრძლიობით.

23. სკოლა-ინტერნატის ბიბლიოთეკარი მოვალეა უზრუნველ-ყოს ბიბლიოთეკის რეგულარული მუშაობა. დაეხმაროს მოსწავ-ლებს წასაკითხავი წიგნების შერჩევაში და ასწავლოს მათ წიგნით სარგებლობა, წარმართოს მოსწავლეთა მიერ წიგნების კითხვა და პასწავლებლებთან და აღმზრდელებთან ერთად აწარმოოს წაკითხულ წიგნებთან დაკავშირებული მუშაობა; შეავსოს ბიბლიოთეკი მოს-წავლეთა და მასწავლებლებთათვის საჭირო წიგნებით, უზრუნველ-ყოს წიგნადი ფონდის სრული დაცვა და აწარმოოს წიგნების აღ-რიცხვა. ბიბლიოთეკარი თავისი მუშაობისათვის პასუხისმგებელია სკოლა-ინტერნატის დირექტორის წინაშე.

ბიბლიოთეკარის სამუშაო დღის ხანგრძლიობა 8 საათია.

24. კაბინეტის გამგე პასუხისმგებელია კაბინეტში არსებული მოწყობილობის დაცვა-შენახვისათვის. აწარმოებს სასწავლო ხელ-საწყობების აღრიცხვას და ლებულობს ზომებს კაბინეტის შესავსე-ბად საჭირო ნივთებით.

25. ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტების ლაბორანტები სკოლა-ინტერნატის დირექტორისა და კაბინეტის გამგის წინაშე პასუ-ხისმგებლები არიან ფიზიკისა და ქიმიის გაქვეთილებზე ჩასატარე-ბელი ლაბორატორიული სამუშაოებისა და საღებონსტრაციო ცდე-ბისათვის მასწავლებლის მთითებით საჭირო მოწყობილობისა და აპარატურის დროულად მომზადებისათვის, მათთვის ჩაბარებული მოწყობილობის წესიერად შენახვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

ლაბორანტის სამუშაო დღის ხანგრძლიობა 8 საათია.

26. უფროსის პიონერხელმძღვანელი პასუხისმგებელია პიონე-რული მუშაობის სწორად დაყენებისათვის სკოლა-ინტერნატში და მუშაობს დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმით.

8 საათია.

27. სკოლა-ინტერნატის ექიმი უზრუნველყოფს აღსაზრდელთვა სამედიცინო მომსახურებას, პასუხისმგებელია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის; სკოლა-ინტერნატში აწარმოებს სისტემატურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობას, ყოველმხრივ ამოწმებს აღსაზრდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას წელიწადში ორჯერ მაინც. ღებულობს ზომებს აგაზმყოფთა დროული მუშაობისათვის (პოსპიტალიზაცია); აბორციელებს მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების, მათი შრომითი დატვირთვის, დღის რეგიმის შესრულების, ფიზკულტურასა და სპორტში მცუდინეობის, კვების ხარისხის, ყველა სადგომისა და სკოლა-ინტერნატის ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობის კონტროლს; ატარებს სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას აღსაზრდელთა და თანამშრომელთა შორის.

ექიმის სამუშაო დღის ხანგრძლივა $6\frac{1}{2}$ საათია.

28. ექიმის თანაშემწერ მუშაობს სკოლა-ინტერნატის ექიმის მითითებით, უზრუნველყოფს ყველა სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი ლონისძიების გატარებას, წესრიგსა და სისუფთავეს სამედიცინო იზოლაციონში, მედიკამენტებისა და შესახვევი მასალის დროულად მიღებას, პირველ სამედიცინო დახმარებას უწევს ბავშვებსა და სკოლა-ინტერნატის მუშაკებს.

ექიმის თანაშემწერის სამუშაო დღის ხანგრძლივობა $6\frac{1}{2}$ საათია.

29. ოსტატი (სკოლა-ინტერნატში, სადაც შე-5 კლასია და სხვა უფროსი კლასები) აწესრიგებს მოსწავლეთა მუშაობას სკოლა-ინტერნატსა და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, უზრუნველყოფს მათ საჭირო მოწყობილობითა და მასაღებით, აწესრიგებს მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკას, პასუხისმგებელია უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვისათვის სახელოსნოებში მოსწავლეთა მუშაობის დროს, ატარებს კლასგარეშე მუშაობას თავისი სპეციალობით და მატერიალურად პასუხისმგებელია მასაღების რაციონალური და ეკონომიური ბარჯვეისათვის; აწარმოებს სახელოსნოების საინვენტარო და სამასალო შიგნებს.

ოსტატის სამუშაო დღის ხანგრძლივობა 8 საათია.

30. სკოლა-ინტერნატის სასწავლო-საცდელი ნაკვეთის გამგე უზრუნველყოფს ნაკვეთზე მუშაობის სწორად დაყენებას, სოფლის მეურნეობაში მოსწავლეთა პრაქტიკის ორგანიზაციას, საჭირო მატერიალური ბაზის შექმნას მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობი-

სათვის, უსაფრთხოების ტექნიკის წესების მტკიცედ დაცვასა და
მატერიალურად პასუხისავებელია ჩაბარებული ქონებისათვის.

სასწავლო საცდელი ნაკვეთის განვის სამუშაო დღის სანგრძელებელი
ლიობა 8 საათია.

31. ბუხპალტერი აწარმოებს მატერიალურ-ფინანსურ აღ-
რიცხვას ანგარიშგების და სკოლა-ინტერნატის დირექტორის თა-
ნაბრად პასუხისმგებელია ფულადი სახსრების სწორი ხარჯვისა და
მატერიალურ-ფინანსური ანგარიშგებისათვის.

სკოლა-ინტერნატის ბუხპალტერის სამუშაო დღე არანორმი-
რებულია.

32. საქმისმწარმოებელი-მემანქანე როვალეა წესრიგში იქ-
ნიოს მთელი საქმისმწარმოება, სკოლა-ინტერნატის სტატისტიკური
ანგარიშგება. მოსწავლეთა აღრიცხვა და მათი პირადი საქმეები
აღმზრდელთა და მასწავლებელთა დახმარებით.

საქმისმწარმოებელი-მემანქანე დირექტორის წინაშე პასუხის-
მგებელია მოსწავლეთა დოკუმენტებისა და სკოლის არქივის მოვლა.
დაცვისათვის.

საქმისმწარმოებლის სამუშაო დღის ხანგრძლიობა 8 საათია.

შენიშვნა: თუ სკოლა-ინტერნატების შტატით არ არის გათვა-
ლისწინებული ბუხპალტერის თანამდებობა, მის მო-
ვალეობას ასრულებს მოანგარიშე, რომლის სამუშაო
დღის ხანგრძლიობაა 8 საათი.

33. დამლაგებლები ყოველდღე ალაგებენ სკოლა-ინტერნა-
ტის სადგომებს სკელი წესით, ოფალურს აღენებენ სისუფთავეს
საკლასო ოთახებში, საძინებლებსა და სხვა სადგომებში, დაწესე-
ბული ცხრილის მიხედვით რეცხავენ იატაკებს, კარგებსა და ფანჯ-
რებს. უზრუნველყოფენ საკლასო ოთახების მზადყოფნას გაკვეთი-
ლებისათვის (ამზადებენ მელანს, ცარცს, ჩვრებსა და სხვ.), თავის
დროზე აძლევენ გაცვეთალის დაწყებისა და დამთავრების ზარს,
მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის მზად ქვეთ გადადუღე-
ბული სასმელი წყალი, პირსაბანი წყალი, სამუშაო დროს ასრულე-
ბენ შიკრიკის მოვალეობას, ოფალურს აღევნებენ სკოლა-ინტერ-
ნატის ქონების დაცვას.

ტექნიკურ მუშაკთა სამუშაო დღის დაყოფა— დანაწილება
აუცილებელ შემთხვევაში დასაშვებია მხოლოდ პროფესიონული
ორგანიზაციის თანხმობის და ზისი ნებართვით ისე, რომ მათ სა-
მუშაო დღეში ეს მოხდეს მხოლოდ ერთხელ (გარდა სადილისათვის

შესვენებისა), და სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა არ იღება
მატოს ნორმალურ რეასათიან სამუშაო დღეს.

შენიშვნა: 1. იატაკების გარიბიალება მასტიქის და საუზნისტარმარკ
ზადება დამლაგებლების მოვალეობაში არ შედის.

2. თუ სკოლა-ინტერნატს ჰყავს ცალკე მეგარდე-
რობე, მას ეკისრება მოსწავლეთა და მასწავლებელთა
ტანსაცმელის მოვლა.

3. ორდადეგების დროს დამლაგებლები ნორმალუ-
რი სამუშაო დღის მანძილზე შეიძლება გამოყენებულ
იქნან სხვა სამუშაოზე (უბრალო სამეურნეო დავალე-
ბების შესრულება, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუ-
შაობა და სხვ).

34. მეცნიერები, ზეინკლები ვალდებული არიან თავის
დროზე და ნორმალურად ვათბონ სკოლის შენობა, ეკონომიკურად
დახარჯონ სათბობი და აწარმოონ მისი ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა,
თვალყური აღევნონ გასათბობი სისტემის წესრიგზე ყოფნას, სკო-
ლა-ინტერნატის დირექტორის (ან მისი თანაშემწის სამეურნეო
ნაწილში) წინაშე დასვან საკითხი ლუმელების გაშენდის, მათი შე-
კვეთების, სათბობის მიტანის შესახებ და გააფრთხილონ ხანძრის
გაჩენის შესაძლებლობის შესახებ ლუმელების არაწესიერ მდგომა-
რეობაში ყოფნის გამო, აგრეთვე მათი არასწორად დადგმის ან
ცუდი შედეგების გამო.

ზეინკლები - მეცნიერები, ვარდა ამისა, მოვალენი არიან
შეასრულონ გასათბობი ს-სტემის წვრილი მიმდინარე რემონტი.

შენიშვნა: არდადეგების დროს მეცნიერები შეიძლება გამო-
ყენებულ იქნან სხვა სამუშაოზე სკოლა-ინტერნატებში
(ეზოს დალაგება, შეებულებაში წამსვლელი დამლა-
გებლების შეცვლა. შემის დახხოვა და დაპობა, სას-
წავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობა).

35. მეცნიერე ვალდებულია სუფთად შეინახოს სკოლა-ინტერ-
ნატის ეზო და ტროტუარები. თვალყური ადევნოს სახურავების,
სანავე ორმოებისა და ყუთების დროულად დასუფთავებას, აწარ-
მოონ ეზოს, საპირფარეშოების დეზინფექცია, დაიცვას ეზოს სა-
მეურნეო ინვენტარი, წესრიგი ეზოში.

მეცნიერის სამუშაო დღე 8 საათია.

36. სკოლა-ინტერნატის შეფ-მზარეული უზრუნველყოფს საჭ-
მლის დროულად (სკოლა-ინტერნატის რეემის მიხედვით) და მა-

ღալթարօնօսեղոցնազ ღամթօնդը ծա, մոնաշիոլյոծ մընօցս Շեղցցնա՛նք պացցոլո լըլուսատցուս; პասխենմըցցելուա პըռույժէթէնուս ս՛ոռու Շեցնացցուս լը ხարջուսատցուս, օգրւոց սամիշարյուլուս, վշրովկլանքալութէն սամիշարյուլուս մուլու օնցընտրարօնս սանօւրարյուլո նկաշարյուլոնսա- տցուս. եղունդունեղունոծ լը կոնդրուլս շնչըց սամիշարյուլուս պա- լու մշշուցուն մնշառնած.

Շեց-մթօնարյուլուս սամշառ լըլու 8 սատուա.

37. Տյոռլա-օնդրերնաւրուս մթօնարյուլո ամթօնդը սաշմելս, լըրուցցը մաս մուրուցցը, լըլուս Շեց-մթօնարյուլու.

Մթօնարյուլուս սամշառ լըլու 8 սատուա.

38. Սամթօնարյուլուս մշմա-վշրովկլուս հրյութացո օնօննենդա Տյոռլա- օնդրերնաւրուս մթօնարյուլուս լասաթմարյուլու լը մշմառն մուսու մուտու- ցենդուտ. լիքրունցըլուուց սուսպուտացցուս լը վիշտուց սամթօնարյուլունի, սատօննան տացուս լըրուն մուրանս լը գուլավշրուս լանցենդաս, ծու- թնեցցուս ցասպուտացցենդաս. սամթօնարյուլուս վշրովկլուս լարյութեցաս.

Սամթօնարյուլուս մշմա-վշրովկլուս մրյութացուս սամշառ լըլու 8 սատուա.

39. Տյոռլա-օնդրերնաւրուս մրյութացո ուտրյուլուս ցամցուսացան լըլունոծ տցուրյուլուս, տացուս լըրուն հրյութացուս մաս լը այտուցն, Շեմդցց սուսպուտա սանուտ լը լաւշինանցելու ածարյուն լույսն մուլունաց. մրյութացո նաւրունալուրու პասխենմըցցելուս մշմառ լը մոսամիս- նշրուտա մաւրունալուրու პասխենմըցցելուս Շեսաեծ մովմեցու կանոն- մդցելունոծ Շեսաբամուսաց.

Մրյութեցուս սամշառ լըլու 8 սատուա.

40. Ծամուս լարաջուս լըցալուն Տյոռլա-օնդրերնաւրուս լաւցա-պարաւ- լունօւ լամուս 23 սատունան մյուրու լըլուս 7 սատամդց. լամուս լա- րաջուս ան այցու լամունցնուս լույլուն, პասխենմըցցելուս Տյոռլա-օնդր- նաւրուս ցարյուխարյունուս լըցալու Տակըրուս մուլունանօննատցուս, հոմլուցնսալ ու տցունու օծարյուն լը օծարյուն մուրուցցուս լամտավրյունուսաս. ցև մուլուն- ցարածարյուն օլոննոննենդա Տպելունալուր վիզնշու.

Ծամուս լարաջուս սամշառ լըլու 8 սատուա.

41. Մյուշնացո ըույնինցը մուեցցուտ լըլունոծ կցեցնուս Տըռույժէթէնուս, Տամյուրնեռ Տացնենս լա օնցընտրանս, օվարմուցն յու- նենդուս մուլունուս լը ցացցուս օլունուցցուս; Պասխենմըցցելուս մուտցուս հածարյունու կցեցնուս Տըռույժէթէնուս, օնցընտրանուս լա Տեց մաւրուն- լուր ցասպուտատա մուլու-լաւցուս լը ս՛ոռու ցաւրմուսատցուս ծոյե- թալուրունուս ըույնինցը մուեցցուտ); տացուս լըրուն օլունուցն մու- լուրունուս ըույնինցը մուեցցուտ; տացուս լըրուն օլունուցն մու- լուրունուս ըույնինցը մուեցցուտ ան մուս տանա՛շեմնշըս Տամյուրնեռ նավուննու կցեցնուս Տըռույժէթէնուտ ան Տամյուրնեռ Տացնենուտ Տավունուս Շեցեցնուս Տաշունուսա. Մյուշնացո նաւրունալուրու პասխենմըցցելուս

პირია და მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება ზოქმედი ქანონმდებლობის მიხედვით.

მეცუჭნავის სამუშაო დღე 8 საათია.



42. თეთრეულის გამგეს ჩაბარებული აქვს თეთრეული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. ოფიციალური დროზე აწარმოებს თეთრეულისა და ტანსაცმელის შეკეთებას, გარეცხვას, დაუთოვებას, ზედა ტანსაცმელის დასუფთავებას; ოფიციალური ალსაზრდელზე აღვენს და აწარმოებს საარმატურო სიებს, თვალყურს აღვენებს თეთრეულის, ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის მინაგრებას ალსაზრდელებზე და არ უშევებს მათ შერეულ ხმარებას; აწარმოებს საკუჭნაოს ქონების მიღებისა და გაცემის წიგნს. თეთრეულის გამგე მატერიალური პასუხისმგებელი პირია და მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

43. ღამის ძიდი პასუხისმგებელია წესრიგისათვის ბავშვთა საძინებლებში ღამით. სამუშაოზე გამოცხადებისას ღამის ძიდი ღებულობს მორიგი აღმზრდელის ინფორმაციის ბავშვთა მდგომარეობის შესახებ, მორიგეობის დამთავრების შემდეგ კი სამუშაოზე გამოცხადებულ მორიგი აღმზრდელს აცნობებს აღსაზრდელთა რაოდენობასა და იმ აღსაზრდელთა არყოფნის მიზეზებს, რომლებიც სკოლა-ინტერნატში არ არიან, აგრეთვე უკულა იმ განსაკუთრებული შემთხვევის შესახებ, რასაც ღამით ჰქონდა ადგილი.

ღამის ძიდი თვალყურს აღვენებს ბავშვთა ძილს, ექიმის მთი-თებით ზუსტად გარკვეულ დროს იღვიძებს ენურეტიკებს (ზარ-დის შეუკავებლობით დააგადებულებს), თვალყურს აღვენებს აგრეთვე განათებას, ტემპერატურასა და ჰაერის სისუფთავეს საძინებლებში.

ღამის ძიდი ვალდებულია იკოდეს ხანძარსაწინააღმდეგო შესები, სკოლა-ინტერნატში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გეგმა, ცეცხლმქრობის ხმარება, სახანძრო ნაწილის, ექიმის, სკოლა-ინტერნატის დირექტორისა და მისი მოადგილის ტელეფონი და მისამართი.

ღამის ძიდაშ უნდა იმორიგეოს დღეგამოშვებით. მას არ აქვს დაძინების უფლება მორიგეობის დროს. კატეგორიულად აკრძალულია ღამის ძიდის მუშაობა ყოველ ღამეს.

ღამის ძიდის სამუშაო დღე 8 საათია.

შენიშვნა: 1. ღამის ძიდის მუშაობის ხანგრძლიობა ღამის 10 საათითან დილის 6 საათამდე — 8 საათი ჩათვლება 9 საათად. შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით.

2. სამუშაო დროის თვიური ნორმა გამოიანგარიშების შება მოცემული თვის სამუშაო დღეების რაოდენობის გამორავლებით 8 საათზე.

3. თუ ლამის ძიძა ვერ გამოიმუშავებს სამუშაო დროის თვიურ ნორმას, მას შეიძლება დღისით დაფარალოს ბავშვთა ტანსაცმელის, თეთრეულის შეკეთება, ბავშვთა ფეხსაცმელის გაწენდა, ბავშვების დაბანა და სხვ.

44. მყერავი კერაფს ბავშვთა ტანსაცმელს. თეთრეულსა და სხვა საჭირო საგნებს. განრიგით დაწესებულ დროს აღსაზრდელებს ასწავლის კერვას; მუშაობს სკოლა-ინტერნატის დირექტორის ან სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგის მიერ დამტკიცებული გეგმით; პასუხისმგებელია მიღებული მასალის რაციონალურად და ექონომიურად გამოყენებისათვის, საინვენტარო და სამასალო წიგნის წარმოებისათვის უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნების, ინვენტარისა და მოწყობილობის დაცვისათვის, თვალყურს აღვნებს მათ რემონტს; მატერიალურად აგებს პასუხს ჩაბარებული ქონებისათვის მუშაობა და მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მყერავის სამუშაო დღის ხანგრძლიობა 8 საათია.

45. მეწალე აწარმოებს ფეხსაცმლის შეკეთებას, განრიგით დადგენილ დროს აღსაზრდელებს ასწავლის სახარაზო საქმეს.

მეწალე მუშაობს სკოლა-ინტერნატის დირექტორის ან სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგის მიერ დამტკიცებული გეგმით.

მეწალე პასუხისმგებელია მიღებული მასალის რაციონალურად და ექონომიურად გამოყენებისათვის, აწარმოებს საინვენტარო და სამასალო წიგნს; თვალყურს აღვნებს ინვენტარისა და მოწყობილობის დროულად შეკეთებას და პასუხს აგებს უსაფრთხოების, ტექნიკის მოთხოვნების დაცვისათვის, მატერიალურად პასუხისმგებელია ჩაბარებული ინვენტარისა და მოწყობილობისათვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მეწალის სამუშაო დღის ხანგრძლიობა 8 საათია.

46. ელექტრომონტიორი პასუხისმგებელია ელექტრომოტორების ნორმალური მუშაობისათვის, სკოლა-ინტერნატის ელექტრომეურნების წესიერ მდგომარეობაში ყოფნისა და დანადგარების მიმდინარე რემონტის ჩატარებისათვის.

ელექტრომონტიორის სამუშაო დღის ხანგრძლიობა 8 საათია.

47. მძღოლი პასუხისმგებელია ავტომანქანის მოვლა-შენახვა-
სა და მისი ნორმალური მუშაობისათვის; ოვალყურს აღვევნებს მან-
ქანის წესრიგზე ყოფნას, ატარებს მანქანის მიზდინარე რეჟიმის კონკრეტული სკოლა-ინტერნატის დირექტორის ან მისი მოადგილის განკარგუ-
ლებით ასრულებს სხვადასხვა სამუშაოს (ტვირთის მიტანა, გადა-
ზიდვა და სხვ.).

მძღოლის სამუშაო დღე 8 საათია.

IV. სამუშაო დრო და მისი გამოყენება

48. სასწავლო მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების
დრო სკოლა ინტერნატში წესდება შემდეგნაირად:

პირველი ცვლა

მეორე ცვლა

მუშაობის დაწყება
მუშაობის დამთავრება

შენიშვნა: თუ მეცადინეობა ორ ცვლად წარმოებს, მათ შორის
აუცილებლად უნდა იყოს ერთსაათიანი შესვენება
გაინც.

49. სკოლა-ინტერნატის დირექტორი უზრუნველყოფს სკო-
ლა-ინტერნატის კველა მუშაკის სამუშაოზე გამოცხადებისა და სა-
მუშაოდან ჭავლის ზუსტ რეგისტრაციას. ამ აღრიცხვისათვის
თვალყურის დევნება დაევალება ერთ-ერთ მუშაკს. თანამშრომლის
სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა
მოხსენდეს სკოლა-ინტერნატის დირექტორს, დამგვარებელს კი
მოეთხოვოს ახსნა-განმარტება დაგვიანების მიზეზის შესახებ.

სასწავლო მეცადინეობაზე მასწავლებელთა გამოცხადების აღ-
რიცხვი წარმოებს გაკვეთილების ცხრილის მიხედვით.

50. თუ ავადმყოფობის გამო ან სხვა რაიმე საპატიო მიზე-
ზით სკოლა-ინტერნატის მუშაკს ესაჭიროება სამუშაოდან ჭავლა,
იგი ვალდებულია მიიღოს სკოლა-ინტერნატის დირექტორის ნე-
ბართვა.

51. მასწავლებლის სამუშაო დრო სკოლაში განისაზღვრება
გაჭვითილის ცხრილით. სასწავლო მუშაობა კვირაში 24 საათზე
მეტი I—IV კლასების მასწავლებელთათვის და 18 საათზე მეტი
V—X კლასების მასწავლებელთათვის დასაშვებია მხოლოდ მათი
თანხმობით.

52. უფროსი პიონერხელმძღვანელის, ბიბლიოთეკარისა და

კაბინეტების ლაბორანტების სამუშაო და ას ხანგრძლიობა ფანტ
საზღვრება 8 საათით.



შენიშვნა: 1. სკოლა-ინტერნატში, საღაც ბიბლიოთეკარის მუშაობა
ლი საშტატო თანამდებობაა, ბიბლიოთეკარი 5 საათს
მუშაობს უშუალოდ მოსწავლეებთან, 3 საათს კი თვით
ბიბლიოთეკაში ეწევა მოსამზადებელ და ორგანიზა-
ციულ მუშაობას.

2. სკოლა-ინტერნატში, საღაც საბიბლიოთეკო მუ-
შაობისათვის დაწესებულია ნახევარი საშტატო ერ-
თეული, ბიბლიოთეკარი 2,5 საათს მუშაობს მოსწავ-
ლებთან და 1,5 საათს ბიბლიოთეკაში.

53. აღმზრდელების, კანცელარიის — ტექნიკური და სამეცნ-
ნეო პერსონალის მუშაობა განისაზღვრება ცხრილით, რომელსაც
შეიმუშავებს სკოლა-ინტერნატის დირექტორი აღვილობრივ პროფ-
კავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

მუშაობის ცხრილი შედგება ერთი თვით. თვითეულ მუშაკს
გამოყენება ხელშერილქვეშ და გამოიკვრება თვალსაჩინო აღ-
გილზე. მუშაობის ცხრილში აუცილებლად უნდა იქნეს ნაჩვენები
თვითეული მუშაკის დასვენების დღე (ყოველ კვირაში).

54. თუ მუშაობა განუწყვეტილია, მუშაკს უფლება არა აქვს
დატვოს სამუშაო შემცველების მოსვლამდე.

შემცველების გამოუკხადებლობის შემთხვევაში მუშაკი ვალ-
დებულია აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციას, რომელიც მი-
იღებს ზომებს მის შესაცვლელად.

55. მუშაობის ცხრილის შეცვლა და ერთი თანამშრომლის
დროებით მეორეთი შეცვლა დირექტორის ნებართვის გარეშე დაუ-
შვებელია.

შენიშვნა: სამუშაო დღის ხანგრძლიობა კანცელარიის — ტექნი-
კური და სამეცნეო პერსონალისა ნორმირებული სა-
მუშაო დღით 8 საათია, უქმის წინადღეს და გამო-
სასვლელი დღის წინ კი — 6 საათი.

56. სკოლა ინტერნატის დირექტორის, სასწავლო-სააღმზრდე-
ლო ნაწილის გამგისა და სამეცნეო დარგში დირექტორის თანა-
შემწის სამუშაო დღე არანორმირებულია.

თუ სკოლა-ინტერნატში მუშაობა განუწყვეტილია, სამუშაო
დროის განაწილება დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგეს
შორის განისაზღვრება განრიგით ისე, რომ სამუშაო დღის გან-

მაგლობაში ერთი მათგანი მაინც იმყოფებოდეს სკოლა ინტერნატი
ში ყოველ დროს.

57. სკოლის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მუშაქული და მუშა
აკისროს რაიმე სამსახურებრივი მოვალეობა სკოლა-ინტერნატში მუ-
შარისაგან თავისუფალ დროს. აგრეთვე გამოსასვლელ და უქმე
დლებებში.

58. ყოველგვირეული დასვენების დღით სარგებლობის დრო
და წესი იმ მუშაკთათვის, რომელთა მუშაობა საჭიროა არასამუ-
შაო დლებებშიც (მეცეცხლური, ხელოვე, დარაჯი და სხვები), გა-
ნისაზღვრება ცხრილით, რონელსაც შეადგენს სკოლა-ინტერნატის
დირექტორი ადგილკომთან შეთანხმებით ისე, რომ გამოუყენებე-
ლი გამოსასვლელი დლების ნაცვლად მუშაკს ჩიეცეს სხვა დლები
უახლოესი ორი კვირის განხავლობაში.

59. თათბირების, სხდომებისა და კრებების ჩატარებაში მას-
წავლებლებისა და აღმზრდელების მონაწილეობის მიღების საქმეში
უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით:

პედაგოგიური საბჭოს სხდომები ტარდება სასწავლო მეოთ-
ხედში ერთხელ, აგრეთვე სასწავლო წლის დაწყების წინ და სას-
წავლო წლის მიწურულში. I—IV კლასების მასწავლებელთა შინა
სასკოლო მეთოდური გაერთიანებებისა და V—X კლასების მას-
წავლებელთა საგნობრივი მეთოდური კომისიების მეცადინეობა
ტარდება ორჯერ (არაუმეტეს) სასწავლო მეოთხედში. მასწავლე-
ბელთა დახელოვნების ინსტიტუტის სასწავლო-მეთოდურ კაბინე-
ტებში (გარდა საგალდცბულო კურსებისა), რაიონის, ქალაქის პე-
დაგოვიური კაბინეტების მიერ მოწყობილ ლექციებსა და ლია
გავეთილებზე მასწავლებელთა დასწრება ხდება თვით მასწავლე-
ბელთა შეხედულებით, შათო გადაწყვეტილებით.

კლასის ხელმძღვანელთა სემინარების ჩატარება შეიძლება
მეოთხედში ერთხელ (არაუმეტეს); შემადგენლობას თვითოფულ შემ-
თხვევაში განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

მშობელთა კრებები ტარდება სკოლა-ინტერნატის დირექტო-
რის შეხედულებით. საჭარმოო თათბირები და საერთო პროფესი-
შირული კრებები ტარდება პროფესიონის ადგილობრივი კომი-
ტეტის შეხედულებით. ამ საკითხზე არსებულ პროფორგანოების
მითითებათა შესაბამისად.

პედაგოგიური საბჭოს, მეთოდური გაერთიანების სტატობის,
მშობელთა კრების ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღ-
მატებოდეს 2—3 საათს, კლასგარეშე წრეობრივი მეცადინეობის,

60. საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგების დროში გამოიყენება რეცეპტების წინ და მისი დამთავრების შემდეგ ზაფხულის პერიოდში სკოლა-ინტერნატის ღირექტორს შეუძლია გამოიყენოს სამუშაოდ მასწავლებლები და ლაბორანტები. მათი სპეციალობის მიხედვით, აგრეთვე მოსწავლეებთან სკოლისგარეშე მუშაობისათვის, რომლის დრო არ უნდა აღმატებოდეს მასწავლებლებისა და ლაბორანტების იმ საშუალო სასწავლო დატვირთვას, რაც მათ პერნ-დათ არდადეგების დაწყებამდე.

დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმული მასწავლებლები, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, კვირაში ოთხი საღამო თავისუფლდებიან ყოველგვარი არასასწავლო დატვირთვისაგან როგორც, სკოლაში, ისე მის გარეთ.

61. მასწავლებელთა მორიგეობის დაწესება გამოსასვლელ და უქმე დღეებში, აგრეთვე ღამით და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ აკრძალულია.

სკოლის აღმინისტრაციას საჭირო შემთხვევებში პროფესიონალის ადგილკომთან შეთანხმებით შეუძლია მასწავლებლების გამოყენება სამუშაო დღეებში სკოლაში სამორიგეოდ, ამასთან მასწავლებლების მორიგეობა უნდა ხდებოდეს იმ დღეებში, როდესაც მას უდიდესი სასწავლო დატვირთვა აქვს, ეს მორიგეობა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ 20 წუთით ადრე (და არა უფრო ადრე) მასწავლებლის გაკვეთილების დაწყებამდე და გაგრძელდეს არაუმტეს 20 წუთისა მისი უკანასკნელი გაკვეთილის დამთავრების შემდეგ.

შენიშვნა: სკოლაში მორიგეობისაგან ცალკეულ დღეებში შეიძლება განთავისუფლებულ იქნან მასწავლებლები, რომელებიც შესვენების დროს ემზადებიან სადემონსტრაციო ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩასატარებლად (ქიმიაში, ფიზიკაში და სხვ.).

62. სამუშაო დროს აკრძალულია:

ა) სკოლა-ინტერნატის მუშაკების მოცდენა, მათი გამოძახება ან სამუშაოდან წაყვანა საზოგადოებრივი მოვალეობის შესარულებლად;

ბ) კრების, სხდომის და სხვა ყოველგვარი თათბირის მოწვევა საზოგადოებრივ საქმეებზე.

მასწავლებლებს ეკრძალებათ:

ა) დამტკიცებული გაკვეთილების ცხრილის შეცვლა თავისი
შეხედულებით;

ბ) გაკვეთილის მსვლელობის დროს არავის არ აქვს უფლებულებები
მისცეს მასწავლებელს შენიშვნა მისი მუშაობის შესახებ.

გაკვეთილის დროს კლასში შესვლა შეუძლიათ მხოლოდ სკო-
ლა-ინტერნატის დირექტორს, სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის
გამგეს და მასწავლებლისა და სკოლის მუშაობის შემმოწმებელ პირთ
სკოლა-ინტერნატის დირექტორის ნებართვით.

V. წახალისების ღონისძიებები

64. ადგინისტრაცია წახალისებს მუშავთ მისი მოვალეობის
გულმოდგინედ და სინიმუშოდ შესრულებისათვის, შრომაში სიახ-
ლის შეტანის, გამოგონებისა და ჩატარებისათვის, წინადა-
დებისათვის, ერთ სკოლა-ინტერნატში ხანგრძლივი და უმშიველო
მუშაობისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა წარმატებებისათვის.

65. წესდება წახალისების შემდეგი ღონისძიებები:

ა) მაღლობის გამოცხადება;

ბ) წარდგენა საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად;

გ) საპატიო წიგნში, საპატიო დაფაზე შეტანა;

დ) წარდგენა სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებლად — „სახალ-
ხო განათლების წარჩინებული“;

ე) წარდგენა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული
მასწავლებლის საპატიო წოდების მისაჭირებლად.

წახალისებისათვის გატარებული ღონისძიება ჩაიწერება მუ-
შავის შრომის წიგნაკში.

VI. ზემოქმედების ზომები შრომის დისციპლინის

• დარღვევის შემთხვევებში

66. შრომის დისციპლინის დაცვა, მის დამრღვევთა მიმართ
ზომების მიღება და პასუხისმგებლობა ამასთან დაკავშირებით პერ-
სონალურად ეკისრება სკოლა-ინტერნატის დირექტორს.

67. შრომის დისციპლინის დარღვევა იწვევს დისციპლინარულ
სასჯელს.

68. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის მუშავს დაედება
შემდები სასჯელი:

ა) შენიშვნა (მითითება);

ბ) საყვედლური;

გ) სასტიკი საყვედლური;

დ) უფრო მცირებელთასიან სამუშაოზე გადაყვანა 3 თვემდე
გადით ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოქვეითება იმავე ვალით.

68. არასაპატიო მიზეზით გაცდენისათვის სკოლა-ინტერნაციული
აღმინისტრაცია მუშავის მიმართ მიიღებს ერთ-ერთ შემდეგ ზომის:

ა) ამ წესების 67-ე მუხლით გათვალისწინებული დისკიპლი-
ნარული სასჯელი;

ბ) სამსახურიდან განათავისუფლება შრომის წიგნაკში აღ-
ნიშვნით, რომ მუშავი განთავისუფლებულია სამუშაოს გაცდენისა-
თვის არასაპატიო მიზეზით.

გაცდენად ითვლება არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე გამოუც-
ხადებლობა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

გამცდენებად ითვლებიან იგრეოფე სამუშაოზე არაფხიზელ
მდგომარეობაში მყოფნი.

69. სკოლა-ინტერნატის აღმინისტრაცია მუშავს სასჯელს და-
ადებს დანაშაულის ჩადენის დადგენისთანავე. სასჯელის დადებამ-
დე შრომის დისკიპლინის დამრღვევს უნდა მოეთხოვოს ახსნა-გან-
მარტების მოცემა.

არ არის დასაშვები სკოლა-ინტერნატის აღმინისტრაციის
მიერ მუშავისათვის სასჯელის დადება ერთი თვის გასვლის შემდეგ
დღიდან დანაშაულის გამოვლინებისა.

არ შეიძლება მუშავს დაედგას დისკიპლინარული სასჯელი 6
თვეზე გვიან დღიდან დანაშაულის ჩადენისა.

70. შრომის დისკიპლინის თვითეული დარღვევისათვის შეიძ-
ლება დადებულ იქნეს მხოლოდ ერთი დისკიპლინარული სასჯელი.

71. სასჯელი გამოცხადდება ბრძანებით ან განკარგულებით,
რომელიც მუშავს ჩაბარდება ხელშერილ ქვეშ.

72. თუ ერთი წლის განმავლობაში დღიდან სასჯელის და-
დებისა სკოლა-ინტერნატის მუშავს არ დაედგა ახალი დისკიპლი-
ნარული სასჯელი; ის ჩაითვლება სასჯელდაუდებელ მუშავად.

თუ სკოლა-ინტერნატის მუშავს არ ჩაუდენია შრომის დის-
კიპლინის ხელახლა დარღვევა და ამასთან თავი გამოიჩინა პე-
თილსინდისიერი მუშაობით, სკოლა-ინტერნატის დირექტორს უფ-
ლება აქვს წლის გასვლამდე გამოსცეს ბრძანება მის მიერ დადე-
ბული სასჯელის მოხსნის შესახებ.

73. შრომის ეს შინაგანაწესი საყალდებულო სკოლა-ინტერ-
ნატის ყველა მუშავისათვის და გამოკრული უნდა იქნეს თვალსაჩი-
ნო ადგილის.

სკოლა-ინტერნატის დირექტორს უფლება აქვს, თუ ეს საჭი-
როა შეიტანოს ამ წესებში დამატებანი ადგილობრივ პროფორგა-

ნიზაკიასთან შეთანხმებით, მაგრამ ისე, რომ ეს დამატებანი ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი წარმოება-დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურების შრომის ტიბობრივ შინაგანაწესს, რომელიც 1957 წლის 12 იანვარს დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტმა (შრომისა და ხელფასის საკითხებზე) პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით. ეს დამატებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არც ამ წესებს.

ამ წესების დამატებანი აგრეთვე უნდა გამოიქრას ოფიციალურად აღგილას.

მ ი თ ი თ ი თ ი ნ ი

მუშა-ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების
შესახებ

მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 15 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებაში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

შენიშვნა:

ა) სახელოსნო სასწავლებლებისა და პროფსკოლების მოსწავლები მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის წერილობითი ნებართვით;

ბ) ის პირები, რომლებიც არ მუშაობენ, მუშა ახალგაზრდობის სკოლის დაწყებით კლასებში მიიღებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ასაკის მიხედვით არ შეეფერებიან მასობრივი სკოლების შესაბამის კლასებს;

გ) დიასახლისები მუშა ახალგაზრდობის სკოლებში შეიძლება ჩიარიცხონ სამუშაო აღგილიდან ცნობის წარმოდგენის გარეშე.

2. მუშა ახალგაზრდობის დაწყებითი, შეიძლებიანი და საშუალო სკოლების როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახლად გახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს უოველწლიურად, თვითული სკოლისათვის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

3. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი (გამგე), სკოლის მოსწავლეთა რაოდენობისა და შემდეგი სასწავლო წლის კონტინგენტის სახალხო სამეურნეო გეგმის საფუძველზე, განსაზ-

ღვრაցს რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნეს
მიღებული და ამის შესაბამისად აცხადებს სკოლაში მიღებას.

4. ახალი ნაკადის მიღება მუშა ახალგაზრდობის სკოლებში ცხადდება 20 ივნისიდან; სკოლაში ახალგაზრდების ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, საწარმოს აღმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, საწარმოებში ატარებს ახსნა-განმარტებითს მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, აღგილობრივი გაზეოთით და რაღიოსატრანსილაციო ქსელით.

5. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში შემსვლელი პირი სკოლაში მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

- ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭედასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;
- ბ) ცნობას მუშაობის აღგილის შესახებ და დახასიათებას;
- გ) ცნობას საცხოვრებელი აღგილის შესახებ;
- დ) დაბადების მოწმობას;
- ე) სამუშაონალო დაწესებულების ცნობას ჯანმრთელობის მდგრადების შესახებ.

6. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და დოკუმენტებს ლებულობს პირადად სკოლის დირექტორი (გამგ) ან სასწავლო ნაწილში მისი მოაღვილე.

მუშა ახალგაზრდობის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ განცხადებათა მიღება წყდება 30 აგვისტოს.

7. ის პირები, რომლებიც, სწავლაში ხანგრძლივი წყვეტის გამო, სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასელელ გამოცდებს წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში: V და VI კლასებში—მშობლიურ ენაში, რუსულ ენასა და მთემატიკაში (წერით); VII—VIII—IX კლასებში: მშობლიურ ენაში (წერით), რუსულ ენაში (წერით), აღგებრაში (წერით), გეომეტრიაში, ფიზიკასა და ქიმიაში (ზეპირი). გამოცდები ტარდება 20-დან 30 აგვისტომდე.

8. მუშა ახალგაზრდობის სკოლის X კლასში შემსვლელი პირებისათვის განათლების შესახებ საბუთის წარდგენა აუცილებელია.

9. გამოცდების დროს წერით სამუშაოს სახეები უნდა შედგებოდეს: ქართულ ენაში (სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის სახეების მიხედვით), რუსულ ენაში (კარნახი ყვე-

ლა კლასში), მათემატიკაში—VII, VIII და IX კლასებში ერთი დონ-
ცანა და ორი მაგალითი.

10. ზეპირი გამოცდები ტარდება ინდივიდუალური გრძელებულების
კითხვის წესით.

11. გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს,
კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის
მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი (გამგე).

12. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ
დამტკიცებული ცხრილით, ამისთან, ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება
ჩატარდეს მტკოლოდ ერთი გამოცდა. საგამოცდო ცხრილი სკოლა-
ში ქვეყნდება გამოცდების დაწყებამდე ნ დღით ადრე.

13. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში შემსვლელს თვითუფლ
საგანში ცდის სათანადო საგნის მასწავლებელი დაშასისტენტი, რო-
მელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

14. გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური
საბჭო.

შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედა-
გოგიური საბჭოს გადაწყვეტალებით და ფორმდება სკოლის დი-
რექტორის ბრძანებით 31 აგვისტომდე;

სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მუშა ახალგაზრდობის სკო-
ლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, ერთი სკოლიდან მეორეში გადასკვლის
ან საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემთხვევის გარდა, აკრძა-
ლულია.

შენიშვნა: ა) სკოლაში ვაკანტური აღგილების სიმცირის შე-
თხვევაში ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევათ წარ-
მოების მოწინავეებს;

ბ) ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური სასწავ-
ლებლების მოსწავლეები ან ამ ტიპის სასწავლებელ-
დამთავრებული ახალგაზრდები, აგრეთვე ზოგადსა-
განმანათლებლო საშუალო სკოლადამთავრებულები შე-
მუშა. ახალგაზრდობის სკოლებში არ მიიღებიან;

გ) მასობრივი სკოლებიდან გარიცხული მოსწავლე-
ები მუშა ახალგაზრდობის სკოლებში შიიღებიან გა-
რიცხვას ვადის გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ
ისინი მუშაობენ წარმოებაში.

15. მუშა ახალგაზრდობის სკოლის X კლასში მოსწავლეთა
ჩარიცხვა ხდება განათლების განყოფილების ნებართვით, ყველა
დანარჩენ კლასში კი სკოლის დირექტორის მიერ.

16. სქოლაში ახალმიღებულ თვითეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება კანკო ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 21 ივნისს დამტკიცებული „მითითებანი. მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“.

სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყ. უფროსი:

რ. კანდელაკი

გ ი თ ი თ ე პ ე ნ ი

დაუსწრებელ საშუალო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

დაუსწრებელ საშუალო სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში მიიღებიან 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც სურთ მიიღონ საშუალო განათლება.

2. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი მოსწავლეთა რაოდენობისა და ახალი სასწავლო წლისათვის სახალხო-სამეცნიერო გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის საფუძველზე; განსაზღვრავს რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნეს მიღებული და ამის შესაბამისად აცხადებს სკოლაში მიღებას.

3. განცხადებების მიღება V—X კლასებში წარმოებს 30 ივნისიდან 30 აგვისტომდე.

სკოლაში მსურველთა ჩასაბმელად სკოლის დირექტორი ატარებს ახსნა-განმარტინებითს მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთით და რადიოსატრანსილაციო ქსელით.

4. დაუსწრებელ-საშუალო სკოლაში შემსულელი პირი სკოლაში მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად წარადგენს მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ, ცნობას შეწაობის ადგილის შესახებ, დაბადების მოწმობას, 2 ფოტოსურათს და ავტობიოგრაფიას.

შენიშვნა: იმ რაიონებში, სადაც არის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საქონსულტაციო პუნქტები, მოსწავლეთა მიღებას აწარმოებს პუნქტის გამგე.

დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი ვალდებულია დაამყაროს კონტროლი საკონსულტაციო პუნქტების მიერ მოსწავ-

ლეთა ჩარიცხვის საქმეზე, რისთვისაც დირექტორი თვითონ მიღინ
ადგილებზე, აგრეთვე ამ მიზნით ადგილებზე შიავლენს სკოლის ოფიციალური
ნამშრომლებს. მიღების დამთავრების შემდეგ პუნქტის გამოყენების შესახებ
ტემპბრისათვის დაუსწრებელ სკოლის უგზავნის სწავლებაში ახლად
ჩაბმულთა დოკუმენტებს და ჩატარებული გამოცდების მასალებს.

5. ის პირინი, რომელთაც აქვთ საბუთები განათლების შესახებ,
ჩაირიცხებიან დაუსწრებელი სკოლის შესაბამის კლასებში გამოც-
დების გარეშე.

6. ის პირნი, რომლებიც, სწავლაში ხანგრძლივი წევრის
გამო, სკოლაში შესვლისას განკუადებასთან ერთად ვერ წარადგე-
ნენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოც-
დებს წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში:

V—VI კლასებში—მშობლიურსა და რუსულ ენაში (წერითი)
და არითმეტიკაში (ზეპირი);

VII კლასში—მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი), ალ-
გებრაში (ზეპირი);

VIII კლასში—მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი), ალ-
გებრა—არითმეტიკაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი), IX
კლასში—მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი), ალგებრაში
(წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი);

გამოცდები ტარდება 20-დან 30 ავესტომდე.

7. დაუსწრებელი სკოლის X კლასში შემსვლელი პირებისა-
თვის განათლების შესახებ საბუთის წარდგენა აუცილებელია.

8. გამოცდების დროს წერითი სახეები უნდა შედგებოდეს:
ქართულ ენაში (სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი
მუშაობის სახეების მიხედვით), რუსულ ენაში (კარნახი ყველა კლას-
ში). მათემატიკაში VIII და IX კლასებში შემსვლელთათვის (ერთი
ამოცანა და ორი შაგალითი).

9. გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს,
კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის
მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

10. გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამ-
ტკიცებული ცხრილით. ამასთან, ჯვეფში ერთ დღეს შეიძლება ჩა-
ტარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა. საგამოცდო ცხრილი სკოლაში
შეცვნდება გამოცდების დაწყებამდე 15 დღით ადრე.

11. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში შემსვლელს თითოეულ
საგანში ცდის სათანადო სიგნის მასწავლებელი და ასისტენტი,
რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

12. გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური
საბჭო.

შესაბამის კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური
გური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექ-
ტორის ბრძანებით 31 აგვისტომდე.

სკოლის დირექტორი სკონსულტაციო პუნქტებიდან მიღებუ-
ლი მასალების საფუძველზე ბრძანებით ახდენს მოსწავლეთა ჩარიც-
ხვის ამა თუ იმ კლასში.

13. საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების დაუსწრებე-
ლი საშუალო სკოლების X კლასებში მოსწავლეების ჩარიცხვა ხდე-
ბა განათლების განყოფილების ნებართვით, ყველა დანარჩენ კლას-
ში კი სკოლის დირექტორის მიერ. რესპუბლიკური დაუსწრებელი
საშუალო სკოლის ყველა კლასში მოსწავლეების ჩარიცხვის აწარ-
მოებს სკოლის დირექტორი.

14. სკოლაში ახალმიღებულ თითოეულ მოსწავლეზე უნდა
შედგეს პირადი საქმე.

ამ მითითებათა გამოცემისთან დაკავშირებით უქმდება სა-
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 28 ივლი-
სის დამტკიცებული მითითებანი დაუსწრებელ საშუალო სკოლებში
მოსწავლეთა მიღების შესახებ.

სკოლების სამმართველოს მუშა და
სოფლის ახალგაზრდობის სკოლების

განყოფილების უფროსი — რ. კანდელაკი

ბ რ ძ ა ნ ი ბ რ № 971

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საშუალო სკოლის
მოსწავლე თ. ნ. თაბუკაშვილის შესახებ

1958 წლის 9 აგვისტო

თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის საშუალო სკოლის
მოსწავლე თ. ნ. თაბუკაშვილის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსულ მამ-
ხილებელ წერილებში მოყვანილი ფაქტების შემოწმებით დადას-
ტურდა, რომ თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის საშუალო სკო-
ლის (დირექტორი გ. ჯანგირაშვილი) X კლასის მოსწავლე თამარ
ნიკოლოზის ასული თაბუკაშვილი 1957 წელს საშემოდგომო გამოცდე-
ბის შედეგად დატოვებულ იქნა იმავე კლასში. განათლების სამინისტ-
როს კოლეგიის დადგენილებით 1957 წელს X კლასში დატოვებულ
მოსწავლეებს 1957/58 სასწავლო წელს სწავლა უნდა გაგებრძელე-
ბინათ IX კლასში. მოსწავლე თაბუკაშვილმა 1957 წელს ოქტომ-
ბერში ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილებას წარუდგი-
ნა ყალბი ცნობა (№ 539) მის მიერ სიმონიანთხევის საშუალო
სკოლის X კლასის დამთავრების შესახებ და თიანეთის რაიონის
განათლების განყოფილების შუამდგომლობა. რის საფუძველზეც
თ. ნ. თაბუკაშვილი 1957 წ. 16 ოქტომბერს ჩარიცხულ იქნა ბორ-
ჯომის მეორე საშუალო სკოლის XI კლასში. იმავე სკოლის დი-
რექტორს თ. დუმბაძეს 1957 წ. 21 ნოემბერს გაუცია ცნობა
(№ 575), რომლის საფუძველზედაც თიანეთის რაიონის განათლების
განყოფილების გამგეს ე. თურქიაშვილს მიუცია ნებართვა თ. ნ.
თაბუკაშვილის თიანეთის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ხე-
ლაძე) XI კლასში ჩარიცხვაზე.

მოსწავლე თ. თაბუკაშვილი ამჟამად არსად არ სწავლობს.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ბორჯომის გან- განყოფი-
ლებაში წარდგენილ ცნობაზე, როგორც შტამპი, ისე ბეჭედი გა-
კეთებულია ხელით და სკოლის დირექტორის ხელმოწერაც ყალბია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:



1. თიანეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგებს მუნიციპალიტეტის თურქიაშვილს უსაფუძვლო შუამდგომლობის გაცემისათვის, ასევე მის მიზანის საფუძველზეც თ. ნ. თაბუქაშვილი უკანონოდ ჩაირიცხა XI კლასში, გამოეცხადოს საყვედური.

2. გაფრთხილებულ იქნან განათლების განყოფილებათა გამგები და სკოლის დარექტორები არ დაუშვან საბუთების მიღება ან გაცემა წინასწარ ყოველმხრივი შემოწმების გარეშე, სრული პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ საქმეს, წინააღმდეგ შემოხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

3. დაევალოს კადრების განყოფილებას მესამე კვარტალში შეამოწმოს განათლების განყოფილებებში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა, მთელი საქმის წარმოება, მიწერ-მოწერა, მისი ხარისხი (ტექსტების ანალიზით) და შემოწმების მასალები წარმოადგინონ კოლეგიაზე განსახილველად.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის ნ. გ. ნ. ჭიბლაძე

ბეჭედი № 977

სტატუსური სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 12 აგვისტო

ხაბაგშვილ სახლებში 1958 წლის II კვარტალში ჩატარებული
შემოწმების შედეგების შესახებ

საბაგშვილ სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესე-
ბულებათა განყოფილების მიერ მიმღინარე წლის მეორე კვარტალ-
ში შემოწმებულია სასწავლო ილმზრდელობითი მუშაობა: ბორჯო-
მის, ქასპის, გეგენწყორის, შუამთის, კოჯრის №№ 1, 2, 3, 4, 5, 6,
საბაგშვილ სახლებში. დოკუმენტური ორგაზია ჩატარდა: ბორჯომის,
ეწრის, შუამთის, თელიავის, ქასპის, ნორიოს, რუსთავისა და კოჯ-
რის № 5 საბაგშვილ სახლებში.

სასწავლო ილმზრდელობითი მუშაობა კარგადაა დაყენებული
ბორჯომის, ქასპისა და ბათუმის საბაგშვილ სახლებში (დირექტო-
რები ნ. კ. კახაძე ე. ა. აბაშიძე, კ. ი. რეხაძე), მათ სამუშაო ვეგ-
მებში ასახულია სასწავლო ილმზრდელობითი მუშაობის ყველა სა-
კითხი, სისტემატურად ტარდება მეთოდური თათბირები და ღია
შეცადინეობები. დირექტორები ესწრებიან მეცადინეობას სააღმზრ-
დელო ჯვუფებში და აძლევენ საჭირო მითითებებს. კარგადაა და-
ყენებული პიონერული ორგანიზაციების მუშაობა. სათანადო სი-
მაღლეზე დგას შრომითი სწავლების საქმე.

ბორჯომის საბაგშვილ სახლში განსაკუთრებული ყურადღება
ექცევა აღსაზრდელთა უფლებრივი და ქონებრივი ინტერესების
დაცვის საქმეს. დირექტორი ნ. კ. კახაძის დახმარებით აღსაზრდელ-
მა ა. თაღლევამ იპოვნა დაკარგული მებრი. აღსაზრდელს გურამ
ყაველაშვილს ქარელის რაიონში დაუბრუნდა ჩამორთმეული სახლი
და საკარმილამ ნაკვეთი.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგიერთ საბაგშვილ სახლში სას-
წავლო აღმზრდელობითი მუშაობა გაინც ვერ დგას სათანადო სი-
მაღლეზე; დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება; კოჯრის
52

№ 3 საბავშვო სახლის 49 აღსაზრდელიდან შეორე წელს იმავე კლასში დარჩა 6 აღსაზრდელი.

კოჯირის საბავშვო სახლების აღსაზრდელებში არ არის უცხოურებული მომუშავებული. შრომითი ჩვევები. სახელოსნოები არ არის უზრუნველყოფილი იარაღ მოწყობილობითა და მასალებით; მიწის ნაკვეთები არ არის გამოყენებული სასოფლო-სამუშაოების შრომისათვის. არ იყენებენ ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს ნორჩ-ნატურალისტთა წრეების მუშაობისათვის. არც ერთ საბავშვო სახლს არა ჰყავს შინაური ფრინველები და ცხოველები.

შუამთის, კოჯირის № 1, 2, 3 და 4 საბავშვო სახლების სკოლამდელი ასკის იღსაზრდელებში სუსტადა დაყენებული მეტყველების განვითარებისათვის მუშაობა, ნაკლებად აჩვევენ შათ შრომას, იშვიათად აწარმოებენ მარტივი საგნების კონსტრუირებას, არ ტარდება სააპლიკაციო მუშაობა. კოჯირის საბავშვო სახლებში არ ექცევა სათანადო ყურადღება ბავშვთა უიზიკურ აღზრდას, სრულიად მოუწყობელია სპორტული მოედნები, არაა ჩამოყალიბებული ფიზკულტურული წრეები. არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას. ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების წრეები ან სულ არ არსებობენ ან არადამაკვიდყოფილებლად მუშაობენ. № 5 საბავშვო სახლის მუსიკალური ინსტრუმენტები გამოუყენებელია ხელმძღვანელს უყოლობის გამო. სუსტადა დაყენებული მხარეთმცოდნებითი და ტურისტული მუშაობა. მოუწესრიგებელია აღსაზრდელთა კვების საქმე. საჭმელები ზოვეერ მზადდება ერთფეროვანი და უგემური, რაც გამოწვეულია ისეთი აუცილებელი პროდუქტების მიუღებლობით, როგორიცაა ხორცი, ცხიმი, ბოსტნეული და სხვ.

სერიოზულ დარღვევებს აქვს აღგილი აღსაზრდელთა საშედიცინო მომსახურების საქმეზი. არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება მომსახურე პერსონალის პირად ჰიგიენას. დარღვევებს აქვს აღგილი სამუშაოების საქმიანობაში. №№ 3, 5 საბავშვო სახლების დირექტორები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ბავშვების მორგებული ტანსაცმელ-ფეხსაცმელით უზრუნველყოფის საქმეს. კოჯირის საბავშვო სახლებს არა აქვთ საქმაო რაოდენობით შეგარი ინენტრარი. № 3 საბავშვო სახლის სკოლამდელ ჯვუფებში ხმარობენ მოზრდილი ბავშვებისათვის შეძენილ ბავშვებსა და სკამებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორამ უხარისხოდ ჩაატარა № 3 საბავშვო სახლის კაბიტალური რემონტი.

მომზარევებელი ორგანიზაციები „კურორტებჭირობა“, „ცმიზ-

შირი“, „საქვაჭრობა“ არ აწვდიან საბაგშვი სახლებს ნორმით დადგნილი ასორტიმენტის მიხედვით კვების პროდუქტებს. ასე, მაგალითაში 1958 წლის 1 ნახევარში რუსთავის საბაგშვი სახლმაზე მიღლო: ხორცი 392 კგ., რძე 3102 ლიტრი, კვერცხი 3942 ც., კარტოფილი 3292 კგ., დანარჩენი ბოსტნეული 2271 კგ. კოჯრის № 5 საბაგშვი სახლმა—ხორცი 307 კგ, კვერცხი 3370 ც., ბოსტნეული 2087 კგ და სხვა.

ადგილი აქვს საფინანსო დისკიპლინის უხეშად დარღვევის შემთხვევებს. შუამთისა და კოჯრის № 5 საბაგშვი სახლებში საბუხჰალტრო საბუთების გაფორმებას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. შუამთის საბაგშვი სახლში არ იწერება საწყობის შემოსავლის ფაქტურა ზოგიერთ ფასეულობაზე, ფაქტურებს ხელს არ აწერს ყველა საჭირო პირი. არ არის პასუხისმგებელი მორიგის აქტები, შრომითს ხელფასზე ყოველთვის არ არის გაფორმებული ხელშეკრულება და სამუშაოს შესრულების აქტები. შრომის ხელშეკრულებები დადგებულია სამნეო ნაწილის გამგის მიერ. მივლინება მიმოსვლის ხარჯები განალდებულია არასწორად; ზედმეტადა გაცემული: ა. პოპკოვაზე—150 მან., ნ. გოტაძეზე—67 მან., ა. ზ. ხუციშვილზე—253 მან., ჩიქვაიძეზე—80 მან. და გ. ცაცაშვილზე—87 მან.

დიასახლის-მექუტნავე ბალდადაშვილს დააკლდა 519 მანეთის პროდუქტები. შეებულების კომპენსაციის გაცემა არ ხდება დადგენილი წესით. შენობის კაპიტალურ რემონტზე ფორმა № 2-ში შეტანილი და განალდებულია ისეთ სამუშაოთა ღირებულება, რომლებიც ფაქტურად არ შესრულებულა, ჯამით 21294 მან. (სამუშაოს მწარმოებელი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორის ინჟინერი ა. სანაძე). შესრულებული სამუშაო უხარისხოა.

კოჯრის № 5 საბაგშვი სახლში (დირექტორი გ. სიხარულიძე) უკანონოდაა ჩამოწერილი ხორცი—44,3 კგ, ვაშლი—25,5 კგ, კარტოფილი—40 კგ, ლობიო—13,6 კგ, ბაღრიჯანი—36 კგ, კერძოდ, ნალდ ანგარიშზე შეძენილი 116 კგ, ლორის ხორციდან შემოსავალში აღებულია მხოლოდ 55 კგ, ხოლო 61 კგ ხორცი გატარებულია პირდაპირ ხარჯებში. არასწორადაა ჩამოწერილი 1,5 კუბ. მ. დახერხილი ხის მასალა, უსაბუთოდაა ჩამოწერილი ყოფილი სამნეო ნაწილის გამგე გ. წიქარიძეზე 444 მანეთი; ზოგჯერ არასწორად, ზედმეტადაა განალდებული საქონლის დატვირთვის ანგარიშზები (648 მანეთის საქანცელაროო ნივთების დატვირთვაზე წარმოდგენილი და განალდებულია 95 მანეთი). წყლის მოტანის

ანგარიშებში არ არის აღნიშნული მოტანილი წყლის რაოდენობა,
არ არის აღნიშნულზე სამეურნეო კომისიის აქტები.

საბავშვო სახლის დარექტორი ვ. სიხარულიძე, რომელიც დღიუ
დიხანია ამ თანამდებობაზე მუშაობს, იჩენს დაუდევრობასა და უპა-
სუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი.
სრულებით არ ზრუნავს საბავშვო სახლის მატერიალური განმტკი-
ცებისათვის. იმ დროს, როცა დირექტორს საკუთარი მეურნეობა
მოწყობილი აქვს, საბავშვო სახლს მეურნეობა სრულებით არ გა-
აჩინია, თუმცა ნარჩენების ბაზაზე ადვილად შეიძლებოდა მელორეო-
ბის ან მეფრინველეობის ფერმა მოწყობილიყო. ერთ დროს მოწი-
ნავი კოჯრის № 5 საბავშვო სახლი ვ. სიხარულიძის სუსტი მუშაო-
ბის შედეგად, ამჟამად ჩამორჩენილთა რიგებშია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოთ საბავშვო სახლის დირექტორებს და ბუხპალ-
ტორებს უმოკლეს დროში უზრუნველყონ ამ ბრძანებაში და ნარჩენებ
მასალებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

2. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში უხეში დარღვევებისა
და საბავშვო სახლის მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის
კოჯრის № 5 საბავშვო სახლის დირექტორი ვ. სიხარულიძე გა-
თავისუფლდეს სამუშაოდან.

3. აღრიცხვა-ანგარიშების არასათანადო სიმაღლეზე დაყე-
ნებისათვის და საბუხპალტო საბუთების არასრულყოფილად გა-
ფორმებისათვის შუამთისა და კოჯრის № 5 საბავშვო სახლების
ბუხპალტორებს გ. ს. ცაცაშვილს და მ. ი. ბოხუას გამოეცხადოთ
სასტიკი საყვედური.

4. განათლების სამინისტროს სარემონტო კანტორამ მიმდი-
ნარე წლის 15 სექტემბრამდე შეასრულოს შუამთის საბავშვო
სახლში 21294 მანეთის ღირებულების კაპიტალური სამუშაოები,
რომელიც ფორმა № 2-ში შეტანილია ფიქტურად, ხოლო შეუს-
რულებელი სამუშაოების ფორმა № 2-ში შესრულებულად შეტა-
ნისა და 21.294 მანეთის ზედმეტად აღებისათვის მოხსნას სამუ-
შაოდან და მისცეს პასუხისეგებაში სარემონტო კანტორის სამუშაო-
თა მწარმოებელი ინენერი ა. სანაძე.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ეწრის საბავშვო სახლის
ნარჩენები მასალები განსახილველად გადაცემული აქვს სამტრედიის
რაიაღმასკომს.

6. დაევალოთ შუამთისა და კოჯრის № 5 საბავშვო სახლე-



ბის დირექტორებს დაადონ სათანადო სასჯელი დიასახლის-მეცნიერების ნავეგებს ლ. გ. ბაღდადაშვილს და მ. მაჭავარიანს.



7. დაეგალოთ საბავშვო სახლის დირექტორებს:

ა) უზრუნველყონ არასწორად, ზედმეტად გაცემული თანხების ამოღება ა/შ. 15 აგვისტომდე;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი აღსაზრდელთა იკადებიური მოსწრების ამაღლებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გამოცდამიცემულ აღსაზრდელების;

გ) გააძლიერონ კავშირი წარმოება-დაწესებულებებთან, კოლეგურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სარემონტო სატრაქტორო სადგურებთან;

დ) გააუმჯობესონ მუშაობა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელებთან; შეასწავლონ ბავშვებს სიმღერები და ლექსები, გამოაცოცხლონ სააბლივაციო მუშაობა და ხატვა;

ე) მეტი ყურადღება მიაქციონ ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეს;

ვ) გარდაქმნან ბიბლიოთეკების მუშაობა; შეაგსონ ისინი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით, მოაწყონ მკითხველთა კონფერენციები;

ზ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურული ძოედნების მოწყობას და ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმეს;

თ) ძირითად გარდაქმნან ბავშვთა სამეცნიერო მომსახურების საქმე, მოაწყონ საკარანტინო ოთახები; ახლადმიღებული ბავშვები იყოლიონ დადგენილი გადების მიხედვით საკარახტინო ოთახში და არ დაუშვან ბავშვთა კოლეგიაზმი;

ი) სასტრიქი კონტროლი დააწესონ აღსაზრდელთა და მომსახურე პერსონალის პირადი ჰიგიენის საქმეზე; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ მუშაკებს, რომელთაც საქმე ძვრი კვების ბლოკთან;

კ) გააუმჯობესონ კვების ხარისხი, მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რომ აღსაზრდელებს ეძლეოდეთ ნორმით დაწესებული ყველა სახის პროდუქტი;

ლ) გააუმჯობესონ აღსაზრდელთა ჩაცმა-დახურვის საქმე; გამოუმუშაონ ბავშვებს ტანისამოსისა და ფეხსაცმელების მოვლის ჩვევები;

მ) მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ საბავშვო სახლების კარმიდამო იყოს შემოლობილი და კეთილმოწყობილი;

6) ა/შ 1 ნოემბრისათვის წარმოადგინონ საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროში მოხსენებითი ბარათი გატარებულ ღო
ნისძეგბათა შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-
ლეგიის 1958 წლის 8 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიმლაძე

3 0 8 ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლებისა და კულტურის
მინისტრის მინისტრი
გ. ჭ ი ბ ლ ა ძ ე
1958 წლის 1 სექტემბერი

დ ე ბ უ ღ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფი-
ისა და მანქანაზე წერის ონსპუბლიკური კურსების მოსწავლეთა
საწარმოო პრაქტიკის შესახებ სტენოგრაფიასა და მანქანაზე
წერაში

I. ზოგადი დებულებანი

საწარმოო პრაქტიკა სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერაში
წარმოადგენს სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილს და მიზნად
ისახავს მოსწავლეთა მიერ საწერ მანქანაზე დასტენოგრამებისა და
გაშიფრის პრაქტიკულ ჩვევათა მიღებას.

2. საწარმოო პრაქტიკა ტარდება ინსტიტუტებში, დაწესე-
ბულებებში, წარმოებებსა და სასწავლებლებში, აგრეთვე კურსებზე
მოწყობილ ლექციების ჩაწერის გზით.

3. პრაქტიკის ადგილის შერჩევასა და დროის განსაზღვრას
კურსების დირექცია წინასწარ უთანხმებს სათანადო დაწესებუ-
ლებებს.

4. მოსწავლე-პრაქტიკანტის სამუშაო ადგილის ორგანიზა-
ციასა და მოწყობას უზრუნველყოფს დაწესებულება, სადაც საწარ-
მოო პრაქტიკა ტარდება.

5. საწარმოო პრაქტიკას გაივლის კურსების ყველა მოსწავლე
სწავლების მე-2 წელს (მე-4 სემესტრი) და სწავლების მე-3 წელს
(მე-6 სემესტრი) მეცადინეობისაგან მოუწყვეტლად.

6. მოსწავლეები, რომლებიც მეცადინეობენ კურსებზე წარ-
მოებისაგან მოუწყვეტლად, საწარმოო პრაქტიკას გაივლიან კურ-
სებზე სასწავლო საათებში მოწყობილი ლექციების ჩაწერასა და,
გარდა ამისა, მუშაობის ადგილზე დაწესებულებაში ერთი კრების
ან სხდომის დასტენოგრამების გზით.

II. საწარმოო პრაქტიკის შინაარსი

7. მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის ადგილებზე განაწილე-
ბა ტარდება სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერის მასწავლებელთა
მიერ.

8. ორწლიანი განყოფილების მოსწავლეები პრაქტიკას გადანახუნონ გაშიფრული მომდევნობის მომდევნობით, სამწლიანისა კი როგორც გადანახუნონ დაუყოვნებლივი, ისე მომდევნობით გაშიფრულით.

9. დასტენოგრამება სტენოგრამის დაუყოვნებლივი გაშიფრულით წარმოებს რეა კაცისაგან შემდგარი ბრიგადის მიერ. გათვალისწინებულია რეაცვლიანი მუშაობა დასტენოგრამების ხანგრძლიობითი ცვლაზე 10 წუთის განმავლობაში.

თითოეულ ბრიგადას ხელმძღვანელობს მოსწავლეთაგან გამოყოლი ბრიგადირი, რომელიც პასუხს ავებს თავისი ბრიგადის მუშაობის ორგანიზაციაზე და აწარმოებს დასტენოგრამების დროის აღრიცხვას.

10. წესდება სტენოგრაფიული პრაქტიკის შემდეგი მოცულობა:

ა) სამწლიანი განყოფილებისათვის—ორატორის სიტყვის ჩაწერა ორ ცვლაში (თითო 10 წუთი) დაუყოვნებლივი გაშიფრულით და დასტენოგრამება მომდევნობით გაშიფრულით. საერთო ჯამში—ორანაკლებ 30 წუთისა.

ბ) ორწლიანი განყოფილებისათვის—დასტენოგრამება ხანგრძლივობით არანაკლებ 30 წუთისა მომდევნობით გაშიფრულით.

11. სტენოგრამათა გეშიფრულ წარმოებს საწერ მანქანაზე თვითონ მოსწავლე-პრაქტიკანტების მიერ წერის ტექნიკის ყველა მოთხოვნისა და მანქანაზე შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის დაცვით.

12. პრაქტიკანტების მიერ გიშიფრულთა სწორ გაფორმებას, თვალყურს ადევნებენ სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებლები.

III. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობა

13. საწარმოო პრაქტიკის-საერთო სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერის საგნობრივი კომისია, ორგანიზაციულსკი კურსების დირექტორი.

14. წინასწარ, სასწავლო პრაქტიკის დაწყებამდე, სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებლები ჯგუფებში (მე-4 და მე-5 სემესტრში) ატარებენ საუბრებს; მოსწავლეებს ეძლევათ ამომწურავი მეთოდური მითითებანი მათ მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ.

IV. საწარმოო პრაქტიკის აღრიცხვა

15. მოსწავლეთა სტენოგრამები და გაშიფრები უნდა გადათვალიერდეს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის მასწავლებელთა მიერ საწარმოო პრაქტიკის პროცესში.

16. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ მოსწავლე
პრაქტიკანტებმა სტენოგრამები და გაშიფრები უნდა ჩააბარონ
მასწავლებლებს.

17. სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერის მასწავლებლები
ჩაუთვლიან მოსწავლებს საწარმოო პრაქტიკის შესრულებას სტე-
ნოგრაფიული და მანქანაზე ნამუშევრების რაოდენობისა და ხა-
რისხის გათვალისწინებით.

18. ოუ საწარმოო პრაქტიკა ტარდებოდა საბჭოთა დაწესებუ-
ლებაში, მაშინ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, გაშიფრები-
სა და სტენოგრამების გადათვალიერების შემდეგ, სასურველია მი-
ვიღოთ წერილობითი დასკვნა დასტენოგრამების ხარისხის შესახებ.

19. საწარმოო პრაქტიკის გაცლა ილინიშნება მოწმობებში
კურსების დამთავრების შესახებ.

V. პრაქტიკის შედეგები

20. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ სტენოგრა-
ფიასა და მანქანაზე წერის მასწავლებლები მოსწავლეთა ჯგუფურ
კრებებზე შსჯელობენ საწარმოო პრაქტიკის შედეგებზე.

21. მასწავლებელთა ანგარიშება მოსწავლეთა მიერ საწარმოო
პრაქტიკის შესრულების შესახებ მოისმინება კურსების პედაგო-
გიური საბჭოს სხდომაზე.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყოფილების უფროსი — რ. კანდილაკი

ბ ჩ ე ნ ე ბ ე № 1257

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1958 წლის 2 ოქტომბერი

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების

1957—1958 სასწავლო წლის შედეგების შეხახებ

(რესპუბლიკური თათბირის ღონისძიებანი)

ადგილებზე შემოწმებითა და წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ საბავშვო სახლებმა და სპეციალურმა სკოლა-ინტერნატებმა გასული 1957-1958 სასწავლო წელი დამაკმაყოფილ გლად დამთავრეს.

36 საბავშვო სახლიდან და სპეციალური სკოლა-ინტერნატიდან 13-ს 100 %-იანი მოსწრება აქვს. ესენი არიან: ქ. თბილისის უსინათლო, ქ. ქუთაისის და სიღნაღის ყრუმუნჯ ბავშვთა და ზედარგანის დამხმარე სკოლა-ინტერნატები, კოჯრის 1, 3, 4, მაარაძის, ახალქალაქის, ბორჯომის, ვაკის, ვაშლოვანის, თელავის, კარდანახის საბავშვო სახლები. მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ ეწრის, ლენინგრადის, ქურთას, განთიადის, ბათუმისა და მახინჯაურის საბავშვო სახლებს.

1957 წლის 1 ივლისისათვის საბავშვო სახლებსა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ირიცხებოდა 3267 აღსაზრდელი. ნათ შორის სასკოლო ასაკის 2780 და სკოლამდელი 487. სასწავლო წლის ბოლოს ჩაბჟულ 2750 მოსწავლიდან შეფასებულ იქნა 2655. ამათგან ასწრებდა 2590 მოსწავლე, აქედან 5-ზე 271, 4-ზე 637, 3-ზე 1682 მოსწავლე. იმავე კლასებში დატოვებულ იქნა 65 მოსწავლე.

ამრიგად აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება უდრის 97,6 %. ნათ შორის 5-ზე და 4-ზე 35,2 %-ი.

გასულ წელს საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების ერთგან ნაწილმა საგრძნობლად გააუმჯობესა მატერიალური სამეურნეო ბაზა. ასეთებია: კოჯრის №№ 1, 2, 4, 6 საბავშვო სახლები, ქ. თბილისის უსინათლო, ქ. თბილისის ყრუმუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები და სხვა.

ჭინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა პლაზმურული და საზრდოელთა სამედიცინო მომსახურება, სკოლისგარეშე აღმზრდებობითი მუშაობა და შრომითი სწავლება.

ერთობლივ

სამედიცინო მომსახურება დამაქმაყოფილებლადა დაუწენებულა
ლო მახარაძის, ბათუმის, მახინჯაურის და ნორიოს საბავშვო სახ-
ლებში. ამ საბავშვო სახლებში დღის რევიზი ზუსტად სრულდება.
კვების ბლოკი მოწესრიგებულია და სხვ.

გაუმჯობესდა შრომითი აღზრდა და სწავლება. ბევრი სა-
ბავშვო სახლმა სწორად გაიგო ამ საქმის მთელი სერიოზულობა და
მუშაობაც ამ მიმართებით კარგად წარმართა. ქ. ქუთაისის ყრუ-
მუნჯ ბაგშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი ვ. დევიძე დიდი
გულისხმიყრებითა და მონდომებით ეყყრობა მასზე დაკისრებულ
მოვალეობის. გან ბაგშვებს დიდად შეაყვარა შრომა. ამხ. ვ. დევი-
ძემ დროის მცირე მონაკვეთში შესძლო აღსაზრდელთა ძალებით
მოწყო მეურნეობა. აქ კარგადა განვითარებული მეცხოველეობა-
მეფრინველეობა, დარგულია 250 ძირი ვაშლის, მსხალისა და ატ-
მის ხე, დაირგა 300 ძირი მარადმწვანე მცენარე და 450 ძირი ვა-
ზი. ასევე კარგადა მუშაობა დაუწენებული მახარაძის, ნორიოს, ვაშ-
ლოვანის, ახალქალაქის, კოჯრის მე-4—6 და ბორჯომის საბავშვო
სახლებში.

სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობა კარგადა დაუწენე-
ბული: მახარაძის, კოჯრის № 1, 2, 4, 6, ნორიოს, ბათუმის, ოე-
ლავის საბავშვო სახლებში. ამ საბავშვო სახლებში სისტემატურად
ტურდება ლექცია-მოხსენებები, ხშირად ეწყობა ექსკურსიები, ტუ-
რისტული ლაშქრობანი, ეწყობა კინო-სურათებზე კოლექტიური
დასწრება და მათი საჯაროდ განხილვა, ფართოდ არის გაშლილი
წრეობრივი მუშაობა.

გასულ წლებთან შედარებით გაუმჯობესდა მეთოდური მუ-
შაობა. რეგულარულად ტურდება ღია გაჭვეთილები და მეცადი-
ნეობები. დამაქმაყოფილებლად მუშაობენ საგნობრივი კომისიები.
ამ მხრივ გამოიჩინება: ქ. თბილისის უსინათლო ბაგშვთა და ქ. თბილისის № 1 დამზარე სკოლა-ინტერნატები, მახარაძის, ბორ-
ჯომის, ოელავის, ვაშლოვანის, კოჯრის № 1 და № 2 საბავშვო
სახლები.

მიუხედავად ამისა, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკო-
ლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ ირის სერიოზული ნაკ-
ლოვანებანი. რუსთავის საბავშვო სახლში 13 აღსაზრდელი სკოლა-
ში ჩაუბმელია, ხოლო ოთხი სკოლის მიერ შეუფასებელი. კოჯრის
№ 3 საბავშვო სახლში 50 სასკოლო ასაკის აღსაზრდელიდან (ცხრა

ი) გააუმჯობესონ მუშაობა საშეფო ორგანიზაციებითან და
მზრუნველთა საბჭოებთან;

2. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდიდრული დაწყების
წესებულებათა განყოფილებამ (უფროსი გ. ჩინჩალაძე) დამხმარე
წარმოებათა განყოფილებასთან (უფროსი ს. არველაძე) ერთად მო-
წინავე დირექტორების მონაწილეობით გადასინჯოს აღსაზრდელთა
კვებისა და რბილი ინკუნტარის მოქმედი ნორმები, შეიმუშაოს ახა-
ლი პროექტი და წარმოადგინოს ა/შ 5 ოქტომბრამდე ზემდგომ
ორგანოებში საკითხის დასასმელად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1958
წლის 26 სექტემბრის დადგენილება.

- საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგალე — შ. ბურჭულაძე

501

88

1/XI

რედაქტორი შ. ბურჭულაძე
რექტორი ე. აგლაძე

* * *

გადაეცა წარმოებას 30/IX 1958 წ., ხელ-
მოწერილია დასაბჭედათ 4/XI 1053 წ.,
ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა
60×92, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.
სტამბის შეკვ. № 708, ტირაჟი 5000

შ ფ ა ს ო

* * *

განათლების სამინისტროს სტამბა
უშ. ჩხერიძის ქ. № 19

Типография Министерства просвещения
ул. Уш. Чхеидзе, 19